190
1966/2

№ 10 ოქტომბერი 1966

# ჯეჯილი



ეროვნული ბიბლიოთეკა




გიორგი სანდირაძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე


# წყალზე ერთი ყური

თემო ნაპირზე ამოთრეული კარჭაპის ჩრდილში იწვა. ხელები თავქვეშ შემოეწყო, თვალები დაეხუჭა და მღეროდა. მღეროდა ჩუმად, თავისთვის. სიტყვებსაც თვითონ იგონებდა და მუსიკასაც. მისი სიმღერა დაახლოებით ასეთი იყო: „ლა, ლა, ლა! როცა მამა დაბრუნდება თევზაობიდან, დედა გამოაცხობს გემრიელ ხაჭაპურს... მზე როგორ აცხუნებს! წყალი თბილია და გამჭვირვალე. ცოტას კიდევ ვიცურავებ, მერე გოგისთან წავალ პინგ-პონგის სათამაშოდ. აი, ასე. დელი-დელა, და!". ადვილი შესაძლებელია, თემო კიდევ გააგრძელებდა სიმღერას, მაგრამ თვითმფრინავის გუგუნი შემოესმა. თვალები გაახილა. თვითმფრინავი დაბალზე მოფრინავდა. ამას თემო ალღოთი მიხვდა, რადგან გუგუნი სწრაფად უახლოვდებოდა და ძლიერდებოდა. თემო წამოხტა, ხარიხებზე შეყენებული კარჭაპის ქვემოდან გამოძვრა და ხელი მოიჩრდილა. თვითმფრინავი შუქურას გაუსწორდა, გვერდზე გადაიხარა და ფრთების ლაპლაპით გამოემართა ზღვისკენ. დიდი იყო, ლამაზი. ფრთებზე ვეებერთელა წითელი ვარსკვლავი და CCCP ელავდა. „ეჰეი!", — დაიძახა თემომ, თავზე მოხვეული ცხვირსახოცი მოიძრო და თვითმფრინავს დაუქნია. მთელი ნაპირი გამოცოცხლდა. თემომ იგრძნო როგორ ამოუდგნენ ბიჭები აქეთ-იქიდან და როგორ აჰყვნენ: „თვითმფრინავი! თვითმფრინავი!" (იმ წლებში თვითმფრინავი იშვიათობას წარმოადგენდა, განსაკუთრებით სანაპიროს მცხოვრებთათვის).

— ნახეთ, მფრინავიც მოჩანს, — დაიძახა ჟირაფივით კისერწაგრძელებულმა გაბომ (იგი მარტის ქუჩაზე ცხოვრობდა და დიდი მატყუარა ვინმე იყო).

— აბა? — თვალები დაჭყიტეს ბიჭებმა — აბა, სად მოჩანს?

— უკვე მიიმალა, — თქვა გაბომ.

— მე როგორ ვერ დავინახე? — გაიკვირვა თემომ.

— შენ ბრუციანი ხარ და როგორ დაინახავ.

— ვინ არის ბრუციანი? — ეწყინა თემოს. — მე ვარსკვლავიც დავინახე, კაბინაც, მაგრამ მფრინავი არ დამინახავს. შენ იტყუები.

— მფრინავმა ერთი წამით გადმოჰყო თავი და ისევ მიიმალა, — არ იშლიდა გაბო. — რა ჩემი ბრალია, თუ მიიმალა?

თემო ჩაფიქრდა და მერე გაიცინა:

— მაშ, მარტო შენ დაინახე, არა?

გაბომ კისერი კიდევ უფრო წაიგრძელა და ამაყად გადახედა ბიჭებს. იგი გამხდარი იყო, საოცრად მწარე ხელი ჰქონდა და მეთევზეთა უბნის ბიჭებს, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ კიდეც მისი. გაბო გრძნობდა ამას, გრძნობდა და... გაიფხორა, გამეტიჩრდა. ბიჭებმა წოპწოპა შეარქვეს. შეარქვეს, მაგრამ დაძახებას ვერ უბედავდნენ.

— შენ მარტო კისერი კი არა, ენაც გრძელი გქონია — უთხრა თემომ, შებრუნდა და ხარიხებზე შემდგარი კარჭაპის ქვეშ შეძრომა დააპირა.

— რაო? — თვალები გადმოკარკლა გაბომ, — მოიხედე ერთი!

თემო შედგა.

ბიჭებმა ყურები დაცქვიტეს. უმრავლესობამ გაბოს მხარე დაიჭირა; ისინი გაბოსთან ერთად მარტის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, აგურის სამსართულიან სახლში. ის სახლი ერთადერთი მაღალი შენობა იყო მთელ დაბაში. თემო სპარტაკის შესახვევში ცხოვრობდა. სპარტაკის შესახვევის ბიჭებიდან ახლა მხოლოდ რამდენიმე ბიჭი აღმოჩნდა მასთან.

— აბა, გაიმეორე, რა თქვი? — ამაყად, ყველას გასაგონად წარმოთქვა გაბომ, — აბა, გაიმეორე! — თან თავისი ქუჩის ბიჭები დაინახა და უფრო გაიფხორა.

— ყრუთათვის ორჯერ არ რეკავენ, — ამაყად უპასუხა თემომ. სიმართლე რომ ითქვას, მას ოდნავადაც არ ეშინოდა გაბოსი, — პირიქით, ახლა მისი აპილპილებული სახე, მოკუმული მუშტები და გრძელ კისერზე დადგმული გოგრიკა თავი კიდევ უფრო სასაცილო ეჩვენებოდა.

თემომ გაბოს ფეხებთან ჩაიჩოქა, კენჭები მისწი-მოსწია და ნიჟარა ამოიღო. გაბო გაცეცხლდა. თვითონაც არ იცოდა, რად შეიკავა თავი. შესაძლოა თემოს მეტად თამამმა მოქმედებამ შეაშფოთა. თემო ხომ მის ფეხებთან იჯდა, ხელში ნაპოვნი ნიჟარა ეჭირა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეუბნებოდა: ხომ ხედავ, სრულებითაც არ მეშინია შენიო. მარტის ქუჩის ბიჭები ფიქრობდნენ: „ამ ცხვირდაჭყაპულ თემოს ლავაშივით გააბრტყელებს გაბო. გაბო ჩვენი ფალავანია". სპარტაკის შესახვევის ბიჭებმა დარცხვენით გადახედეს ერთმანეთს. ეტყობა გაიფიქრეს, რომ ამ წუთს სპარტაკის — ამ უშიშარი და მეომარი ადამიანის სახელობის ქუჩაზე მცხოვრებ ბიჭებთაგან კიდევ ერთს უნდა შეერცხვინა თავი. და მერე ვისთან — ჟირაფივით კისერწაგრძელებულ გაბოსთან, ტრაბახა, მეოთხე კლასში მეორეჯერ დარჩენილ გაბოსთან.

— ადექი, — თქვა ნირწამხდარმა გაბომ, — ვიჩხუბოთ.

თემომ თავი მიანება ნიჟარას და ქვემოდან ამოხედა.

— უნდა მეჩხუბო? რატომ?

— არ მომწონხარ.

— მართლა? მერე რა მოხდა? ამისათვის უნდა მეჩხუბო?

— ადექი-მეთქი, — და ფეხი წაჰკრა. თემო არ განძრეულა. მის თვალებში მრისხანებამ იფეთქა.

— რა გინდა, ა? იქნებ მე არ მინდა ჩხუბი? გგონია, მომერევი? ვერ მომერევი, მაგრამ ჩხუბი მაინც არ მინდა.

— ჰე, ჰე, — ჩაიქირქილა გაბომ, — შენ მარცხენა ხელით მოგერევი. ადექი, აბა!

და მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. თემო წამოდგა, მკერდი წინ წამოსწია, ხელები ჩამოუშვა და გაბოს თვალებში შეხედა. გაბომ ხელი მოიქნია. თემომ სახე მიუშვირა და გაწითლდა. გაბო შეკრთა. ხელი მოწყვეტილივით დაუშვა და რაღაც წაიბუზღუნა.

„რას უცდის გაბო? რატომ არ ჩააწყვეტინებს ენას?" — ფიქრობდნენ მარტის ქუჩის ბიჭები.

სპარტაკის შესახვევის ბიჭები გაკვირვებული უყურებდნენ ერთმანეთს. ეს როგორ მოხდა, რომ გაბოს ასე თამამად შეუტია ცეროდენა ბიჭმა? თემოც მაგარი ვინმე ყოფილა. წოპწოპამ ხელი მოუქნია, მას კი თვალიც არ დაუხამხამებია.

— მაშ, ჩხუბი არ გინდა? — იკითხა გაბომ.

— ხომ გითხარი.

— კარგი, აბა, ამჯერად გაპატიებ.

თემომ ეშმაკურად ჩაიცინა. მერე ზღვასთან მივიდა. პეშვით წყალი აზაპა და სახეზე შეისხა. ცხელოდა. მთელი ნაპირი ხალხით იყო სავსე. მოშორებით ესპანელი ბავშვები ბანაობდნენ. ესპანელ ბავშვებს მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის ქალი ახლდა. ქალს საცურაო კოსტუმი ეცვა და ხან ერთ ბავშვს შეიყვანდა წყალში, ხან მეორეს. ბავშვებმა ცურვა არ იცოდნენ და თავის ენაზე რაღაცას ხმამაღლა გაიძახოდნენ. სასიამოვნო გარეგნობის მაღალი ქალი გულიანად იცინოდა.

— წოპწოპ, — თავი ასწია თემომ, — გინდა, ცურვაში გავეჯიბროთ?

„დახე, რამდენსა ბედავს!" — გაიფიქრა გაბომ და თავის ბიჭებს გადახედა.

ყველამ იცოდა, რომ თემო კარგი მოცურავე იყო.

— თუ ბიჭი ხარ, ადი და სახტომი კოშკის უკანასკნელი სართულიდან გადმოეშვი.

თემომ ზევით აიხედა. სახტომი კოშკის უკანასკნელი სართული არც ისე მაღალი ეჩვენა. რამდენჯერმე აზომჩაზომა თვალით...

— უკანასკნელიდან?

— აბა?!

— კარგი. უკანასკნელიდან იყოს. გადმოვხტები.

ბიჭებმა ალტაცებით შეხედეს თემოს. გაბომ გაიფიქრა: ახლა ნახავთ, რა ვაჟკაციც არისო, და ქვიშაზე დაჯდა. თემომ, როგორც მაშველებს ჩვევიათ ხოლმე, თმა ცხვირსახოცით წაიკრა და აუჩქარებლად გაემართა სახტომი კოშკისაკენ.

— მეტიჩარა, — თქვა ვიღაცამ.

თემომ თავი მიაბრუნა, მაგრამ არ გაჩერებულა. ავიდა პირველ სართულზე, ავიდა მეორეზე, ბიჭებს ხელი დაუქნია და გაიღიმა. ავიდა მესამე სართულზე, შედგა, ხელები ასწია, გადმოსახტომად მოემზადა და შეკრთა... საოცრად დაბლა მოეჩვენა ზღვა. წინათ რამდენჯერ გადაუხედია აქედან, მაგრამ ახლა...

— ვერ გადმოხტება! — დაასკვნა გაბომ.

სპარტაკის შესახვევის ბიჭებმა ბოლოსდაბოლოს გაბედეს და თემოს დაცვა სცადეს:

— არაფერიც...

მაგრამ გაბომ თვალები გადმოქაჩა და ბიჭებმა ენა ჩაიგდეს.


პიონერი
10-ოქტომბერი
გამოცემის XXXX წელი



10.036

— რას უცდის, ველარ გადმოხტება? — თქვეს მარტის ქუჩის ბიჭებმა.

— ეშინია.

თემოს მართლა შეეშინდა. ხელები ჩამოუშვა და უკან დაიხია.

—ეი, კიბორჩხალავ! —დაიძახა გაბომ.

ბიჭებმა გაიცინეს.

თემო ისევ მიუახლოვდა თეთრად შემოხაზულ წრეს, საიდანაც ქვევით უნდა გადამხტარიყო. სიცილი შემოესმა. იქ, შორს, ნაპირზე ამოთრეული კარჭაპის ჩრდილში ბიჭები მოკალათებულიყვნენ. ისინი რაღაცას ანიშნებდნენ, ასწავლიდნენ, დასცინოდნენ, უყვიროდნენ. ბიჭს თავი დაუბრუვდა. მაინც, რად აიხირა ამსიმაღლე კოშკიდან გადმოხტომა? ვინ აძალებდა? ვითომ, გაბოზე ნაკლები რითა ვარო! ასე გინდა შენ! ჩადი ახლა ძირს და, თუ ბიჭი ხარ, ნუ მიაქცევ ყურადღებას, როცა მარტის ქუჩის ბიჭები აგიგდებენ აბუჩად. არც შენი ქუჩის ბიჭები დაგაკლებენ ხელს. — ამის გაფიქრებამ სითამამე დაუბრუნა. წინ წადგა ფეხი, თვალები დახუჭა, ხელები გაშალა და წყალში გადაეშვა.

რამდენ ხანს იყო ზღვის სიღრმეში — არ ახსოვს. როცა თავი ამოჰყო და ნაპირისაკენ გასცურა, იქ აღარც გაბო დაუხვდა და აღარც მისი ბიჭები.

— აუ, თემო საიდან გადმოხტა! — აღტაცება ველარ დაფარა სპარტაკის შესახვევის ყველაზე უმცროსმა წარმომადგენელმა — ილომ. იგი შვიდი წლისაც არ იყო, მაგრამ ბიჭებს შორის ყველაზე ლამაზი სანდლები და ხალათი ეცვა. მთელი მეთევზეთა დაბა რომ გადაგებრუნებინათ, ილოს გარდა რეზინის ბურთს ვერავის უპოვიდით. და მერე, იცით რამდენი ჰქონდა? — ორი. ერთი — წითელი და ერთიც — ლურჯი. სპარტაკის შესახვევის ბიჭები, რომლებიც ილოზე ბევრად უფროსები იყვნენ, სწორედ ამ უპირატესობის გამო არ უკადრისობდნენ მასთან მეგობრობას.

— გაბოს გარდა ჯერ არავინ გადმომხტარა მესამე სართულიდან, — დაუმატა სპარტაკის შესახვევის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა — გიამ, რომელსაც ჰქონდა არც თუ ისე სახარბიელო ზედმეტი სახელი — გრძელყურა.

თემოს მხარი ტკიოდა. ეტყობა, გადმოხტომის დროს ცუდად დაეცა წყალზე, მაგრამ ხომ არ იტყოდა! ქვიშაზე გაწვა, ნატკენი მხარი მზეს მიუფიცხა და გაიტრუნა. ასეთი ბედნიერი, ასეთი კმაყოფილი არასოდეს არა ყოფილა...

სპარტაკის შესახვევის ბიჭები კი, ვინ იცის, მერამდენედ უყვებოდნენ ერთმანეთს გაბოსა და თემოს შელაპარაკების ყოველ წვრილმანს: „მერე იმან თქვა... ამან უპასუხა... მან გაიცინა... ამას ეწყინა...“ და ასე დაუსრულებლად.

თემოს მხარი ტკიოდა, იწვა ქვიშაზე, იწვა მეთევზეთა დაბის ბოლოს, ბურუნ ტაბიეს კონცხზე, ხარიხებზე შემდგარი კარჭაპის ახლოს და მზეზე შრებოდა.

●

იმ დროს, როცა მეთევზეთა ნავები თუხთუხით შემოდიოდნენ ნავსადგურში, მარტის ქუჩის ბიჭები № 17 სახლის ეზოში ისხდნენ. ჩამავალ მზეს ყვითლად აეფერადებინა ეზოს მთელი ავლადიდება — ლეღვის ერთადერთი გადაბერებული ხე, რომლის ქვეშ ამაყად დასეირნობდნენ ბაბუა სიდოს ვეჟანი მტრედები. თავის დროზე ბაბუა სიდო ყველაზე იღბლიანი მეთევზე იყო მთელს ზღვისპირეთში, ერთადგილიანი, აფრიანი ნავი ჰქონდა. ეს ნავი ახლაც იდგა ეზოს ბოლოში, ოღონდ ფსკერდამსკდარი და დამტვრეული იყო. უვარგის ნავებს მეთევზეთა დაბაში შეშად იყენებდნენ. მაგრამ სიდოს ნავის დაშლა არავის უნდოდა — მეტად კარგი მეთევზე იყო სიდო და, რაც თავი ახსოვდათ, ეს ნავი მუდამ ერთგულად ემსახურებოდა მოხუცს. ნავს გრძელ და მაღალ ქიმზე ბიჭებისათვის გაუგებარი წარწერა ჰქონდა: „ელდორადო“. არავინ იცოდა, რას ნიშნავდა „ელდორადო“, და ეს უცნაური, მჟღერი სიტყვა კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას ანიჭებდა ოდესღაც მშვენიერ ნავს. ამ ნავით, როგორც უფროსები ამბობდნენ, მოხუცმა სიდომ ოცფუთიანი ზიმზერი დაიჭირა. ამ ზიმზერის ჩონჩხი ადგილობრივ მუზეუმში ინახებოდა და ბერიკაცი მას ისე თბილად და სიყვარულით იგონებდა, როგორც მოკრივე იგონებს ხოლმე თავის დამარცხებულ ღირსეულ პარტნიორს.

№ 17 სახლის ეზოში თითქმის მთელი მარტის ქუჩის ბიჭები შეკრებილიყვნენ. ისინი ჩუმად ისხდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოხუცი მეტად საინტერესო ამბავს ჰყვებოდა.

— აი, ასე, ჩემო ყურჭატებო, — ყვებოდა ბერიკაცი, — ამ ადგილას, სადაც ჩვენ ვზივართ, ორმოცდაათი წლის წინათ გარეული ტახები ბულანგრობდნენ. მთელ სანაპიროზე ქვის ერთადერთი შენობა იდგა და ისიც თურქ კომერსანტს ეკუთვნოდა. ხანდახან, დილ-დილობით, ის კომერსანტი გამოვიდოდა აივანზე და კარაბინით ხელში ელოდა ტახის გამოჩენას...

— და პირდაპირ აივნიდან ჰკლავდა? — იკითხა გრძელცხვირა სოლომონმა.

— ჰო, აივნიდან.

— ახლა სადღა შეიძლება ტახის მოკვლა? — იკითხა გაბომ.

— აი, იმ მთაში, — აჭარის მაღალი ქედისაკენ გაიშვირა ბერიკაცმა ხელი, — იქ, და იმის იქით, სადაც გაუვალი ტყეებია.

გაბო ბერიკაცის გვერდით იჯდა. გოგორიკა თავი ხელებში ჩაერგო და გატრუნულიყო. ადვილი შესაძლებელია, იმდილანდელ წაღაპარაკებაზეც ფიქრობდა. იგი ხომ ლაჩრულად მოიქცა, წყლიდან თემოს ამოსვლას არც კი დაელოდა — ბიჭებს ანიშნა, აბა წავიდეთო, და უდარდელად გაემართა შინისაკენ. გზაზე ვილაცამ ჰკითხა:

„რატომ არ დაუცადე?“

„ახლა მაგის ტრაბახის მოსმენის თავი მქონდა?“



„ცუდად გადმოხტა ვითომ?“
„აბაა?! ეგრე, თუ მინდა, მეათე სართულიდანაც გადმოვხტები. მაგ გაწრიპულს კი მთელი მისი სიცოცხლე სატრაბახოდ ექნება“. მალხაზს გაეცინა. მალხაზიც მარტის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ მარტის ქუჩის ყველა თანატოლისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მეტისმეტად თავაზიანი და გაუბედავი იყო. მუდამ გაწკრიალებული ხალათი ეცვა და წითელ ყელსახვევს არდადეგების დღეებშიც კი არ იცილებდა.

როგორც ვთქვით, მან გაიცინა, მაგრამ მაშინვე გაბოს მრისხანე მზერა იგრძნო და გაყუჩდა. „ვერ გადმოვხტები?“ — ჰკითხა გაბომ. „კი, გადმოხტები“, — სწრაფად უპასუხა მალხაზმა, თუმცა მისი „გადმოხტები“ ყრუდ და გაუბედავად გაისმა.

ახლა გაბო მოწყენილი იჯდა. თავი ხელებში ჩაერგო და ბაბუა სიდოს უსმენდა. ბაბუა სიდოს ღრმა, ჩავარდნილი თვალები ჰქონდა, მეზღვაურის ჭრელზოლიანი მაისურა ეცვა. ლაპარაკის დროს მარჯვენა ხელს იშველიებდა და სიგარეტის კვამლს ღრმად ისუნთქავდა ხოლმე.

— მე უკვე დიდიხანია ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე, — ამბობდა ბერიკაცი, — გაცილებით დიდი ხანი, ვიდრე საჭიროა, და იცოდეთ, სიავე ყოველთვის მოულოდნელად გადაგეყრება ხოლმე, დაგიდარაჯდება, სარმას დაგიდებს და, ჰაი გიდი, წაგატეხინებს კისერს. ავიღოთ ბესიკა ბაცანი. რა ცხოვრებაა მისი ცხოვრება? მე ვხედავ, რომ ზოგიერთ თქვენგანს მოსწონს კიდეც მისი ცხოვრება. ეს ხომ მანჭკვალაა?! არის ასეთი სოკო, იგი გადანაჭერ ხის ძირებზე იზრდება და საძაგელი სუნი აქვს. გარედან ლამაზია, მაგრამ მოწყვეტ თუ არა, მიხვდები, რომ შეცდი. კვირა არ გავა, უბნის მილიციიდან არ მიაკითხონ. როგორ ფიქრობთ, მადლობის სათქმელად ხომ არ დადიან ბესიკა ბაცანთან უბნის მილიციელები?

გრძელცხვირა სოლომონმა ხმამაღლა გაიცინა.

— შენ რაღად სდუმხარ? — გაბოს მიუბრუნდა ბერიკაცი, — მე ამას ყველაფერს შენს გასაგონად ვლაპარაკობ. ნამეტანი არ მომწონს შენი მოქმედება. ასეთი კარგი მამის შვილი ხარ, მთელს ჩვენს ქუჩაზე არ მოიძებნება მამაშენისთანა წესიერი ადამიანი, შენ კი ისევე განსხვავდები მისგან, როგორც მე — ჩინელი იმპერატორისაგან.

გაბომ წარბებსქვეშიდან ამოჰხედა ბერიკაცს. იგი კიდევ უფრო მოიღუშა და გაყვითლდა. დღეს უკვე მერამდენედ განიცადა მარცხი! ჯერ იყო და, შინიდან დედინაცვალმა სახატავი ალბომების საყიდელი ფული გამოატანა და ის ფული ბესიკა ბაცანთან „დურაკაში“ წააგო. მერე იყო და, თემომ, იმ გაწრიპულმა და „ცხვირმოუხოცავმა“ თემომ, მისი ავტორიტეტის შელახვა სცადა. ახლა კი, მოხუცი სიდო მისდგა, პაპიროსის კვამლს სახეში აფუტებს და ჭკუას არიგებს. ბიჭებიც კაი ჩიტები არიან, უსმენენ ბერიკაცს და ჩუმჩუმად კვერს უკრავენ. თითქოს მარტო მე ვიყო ქვეყნის დამაქცევარი. იმ დღეს კი, როცა ცაბუნია კვერენჩხილაძის ბაღში გადავძვერით, კახამბლის უზარმაზარი ხე კინაღამ გადმოღმა გადმოიტანეს... ჰე, ერთი მაშინ შესწრებოდათ სიდო... ნეტა ცალი თვალით მაინც დაენახა... გაბოს კიდევ უფრო მეტად დასწყდა გული. ხოლო მერე, როცა ბერიკაცმა თქვა: „ერთი, მამაშენი უნდა ვნახოო“, ხელი აიქნია, როგორღაც გაბრაზებით აიქნია, და ეზოს უკანა მხრისაკენ გაიქცა. იქ ზღვა იწყებოდა. ბერიკაცმა თავი გააქან-გამოაქანა და ბიჭებს უთხრა:

— საწყალი! მაგან ჯერ არც იცის, რა რთულია ცხოვრება. არც ის იცის, რომ ნამდვილი ცხოვრება მის ასაკში იღებს სათავეს. თქვენოდენა ადამიანი აქედან უნდა მიეჩვიოს სწორი



გზით სიარულს. ხოლო თუ ერთხელ შეცდა, მერე ბესიკა ბაცანივით მარტო იქნება, ყველასაგან გარიყული.

ბიჭებმა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგეს ბერიკაცის ნათქვამი, იმიტომ ვერ გაიგეს, რომ, მართალია, ბესიკა ბაცანი მარტო ცხოვრობდა, მაგრამ... მუდამ ეტლით დადიოდა. კოსტუმებსაც ხშირ-ხშირად იცვლიდა, ხანდახან მთელი კვირით გადაიკარგებოდა სადღაც. ყველასათვის მოულოდნელად, შუაღამისას, ქუჩის ბოლოს ატყდებოდა ერთი ღრიანცელი და ყვირილი.. ამას, ბესიკა ბაცანის აზრით, სიმღერა ერქვა. აკვნესდებოდა არღანი და ძილით მოცული სახლის ფანჯრებს რიგრიგობით მიუკაკუნებდა ბესიკასავით დაუწყობელი და უაზრო სიმღერა. მარტის ქუჩას მოსვენება აღარ ეწერა, ერთი-ორი დღის შემდეგ მილიცია გამოცხადდებოდა, ყველაფერს გადაჩხრეკდა, „საქმეს“ შეადგენდა, ბესიკას განყოფილებაში გაისტუმრებდა და მეორე დილამდე არავინ იცოდა, რისთვის და რატომ აყურყუტებდა იქ. განყოფილებიდან დაბრუნებული ბესიკა კიდევ უფრო გაბოროტებული უყურებდა ქვეყანას. მეთევზეთა სამმართველოს წინ, პატარა საყავეში იცოდა დაჯდომა. ღვინოს მოატანინებდა და გამვლელ-გამომვლელს „თითო ჭიქაზე“ ეპატიჟებოდა. ვაი მას, ვინც ბესიკას „პურმარილზე წიხლს უკრავდა“! „პარდონ, — გადმოქაჩავდა აწითლებულ თვალებს, — ვითომ ჩემზე უკეთესი ხარ, არა? მაცალე, შევხვდებით სადმე“. და შეხვდებოდა კიდეც.

მეთევზეთა დაბას შუაზე ჰკვეთდა ერთი პატარა, მღვრიე მდინარე. რადგან მდინარე დაბას ორ ნაწილად ჰყოფდა, ზედ ხიდიც იყო. სწორედ იმ ხიდთან იცოდა ბესიკამ დადარაჯება. ვინც თვალში არ მოუვიდოდა, ან ვისგანაც წყენა ახსოვდა, მას მოაჯირთან მიაყენებდა, „აბა, ყიყლიყო დაიძახე, თორემ გადაგიშვი აქედანო“, ეტყოდა და იმ ბინძურ და მღვრიე მდინარეში გადაგდებით ემუქრებოდა.

მოხუცი სიდო კიდევ იტყოდა რამეს, მაგრამ მიხვდა, რომ თვითონაც დაიღალა და პატარა მსმენელებსაც მოაბეზრა თავი. ბიჭები გაკვირვებული უყურებდნენ მოხუცს. მართალია, მას ზოგჯერ უყვარდა ჭკუის დარიგება, მაგრამ წინათ ყოველთვის გასაგებად ლაპარაკობდა, — არც ღელავდა, არც ამდენ სიგარეტს ეწეოდა. ბიჭებმა არ იცოდნენ, რა იყო ამისი მიზეზი, რომ ცოდნოდათ, არც შეხედავდნენ მოხუცს ასე გაკვირვებით. იმ დილით, როცა ბერიკაცი მეთევზეთა დუქანში მიდიოდა პურის საყიდლად, შემთხვევით, ეზოს უკან, ძველ ბადეებთან რაღაც ჩურჩულს მოჰკრა ყური. მიუახლოვდა და გაშეშდა. ბესიკა ბაცანი კამათლით თამაშს ასწავლიდა გაბოს...

●

ბებია პელო სადილს ამზადებდა და ცალი ყური ქუჩისკენ ჰქონდა.

— საბერძნეთის დედაქალაქი? — დაიძახა ვიღაცამ ქუჩიდან.

— ათენი, — იყო პასუხი.

— ავსტრიის დედაქალაქი?!

— ვენა.

— ქალაქები ასო „მ“-ზე?!

— მონტევიდეო, მოსკოვი, მილანი, მეხიკო, მანილა...

— ასო „რ“-ზე!?

— რომი, რიო-დე-ჟანეირო...

ფანჯრის იქით სიჩუმე ჩამოწვა.

— მა, სწრაფად, აბა, სწრაფად, — ვერ ისვენებდა ის, ვინც ქუჩაში იყო.

— გნებდები. აბა, შენა?

— რიგა, როსტოვი, რური.

— ემ, როგორ დამავიწყდა?!

— სამი ნაყინი მოვიგე.

— სამი რათა?

— თითო სიტყვა — თითო ნაყინი, ასე არ შევთანხმდით?

„—დახე, ამ ეშმაკის კერძებს —გაიფიქრა ბებია პელომ, —რა თამაში მოუგონიათ. მაინც, საიდან იციან ამდენი ქალაქები? ანდა მართლა ამდენი ქალაქია დედამიწაზე?“

— მაშ, გამოხვალ?

— ჯერ არა. ბებიაჩემი კეტით მდარაჯობს.

— მოიგონე რამე!

— არ შემიძლია.

— მაგაზე ადვილი რაა, უთხარი, რომ სამკითხველოში მიდიხარ.

— ეგ ათასჯერ მაქვს ნათქვამი.

— აბა, რა გირჩიო?

ბებია პელო სმენად იქცა. საჭმლის მოსარევად მომზადებული კოვზი ხელში გაუშეშდა. ქურაზე შედგმულმა ქვაბმა თუხთუხი დაიწყო. „ნეტა რომელია? — ფიქრობდა მოხუცი ქალი, — გოგი? გივი? ოთარი? ვაჟა? აჰა, ხმაზე ვიცანი, სანდროა“

—რატომ არ გიშვებს? — იკითხა სანდრომ.

— გაიგო, კოშკიდან რომ გადმოვხტი და საშინელი დღე დამაწია. ახლა მამაჩემის მოსვლას უცდის, ალბათ დამაბეზღებს.

— აბა, კაი კონცერტი გექნება ამაღამ.

— ბებიაჩემია რაც არი, თორემ მამაჩემი ასეთ რამეს დამიშლის?

— რა თქმა უნდა, — თქვა სანდრომ, — მამაჩემი შემაქებდა და კინოს ფულსაც მომცემდა. მამაჩემს უყვარს ასეთი რამეები, გულადი შვილი მეზრდებაო. მე კი მეშინოდა. შენ არ შეგეშინდა?

— პირველად შემეშინდა, ახლა კი რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ გადმოვხტები.

— მართლა?

ბებია პელოს მეტი არაფერი გაუგონია. მან სასწრაფოდ ამოურია კოვზი მოთუხთუხე ქვაბს და მერე კარტოფილის თლას შეუდგა. მეორე ოთახიდან (თემოს ოთახიდან) რაღაც საეჭვო ხმაური ესმოდა. „იწრიალე, იწრიალე, — ფიქრობდა ბებია შვილიშვილზე და თან ილიმებოდა, — ვის დაემსგავსა მაინც ეს ბიჭი? რომ კვდებოდეს, შინ ერთი წუთითაც არ მოიცდის. სულ გარე-გარე უჭირავს თვალი. ახლა კი კოშკიდან ხტომა აიჩემა. ღმერთმა გაახარა ისაკი საკანდელიძე. მაგი რომ არ ყოფილიყო, ისე გაძვრებოდა ამ ღლაპს სული — ვერც შევიტყობდით... სათევზაოდ ვუშვებდი, ფიზკულტურაზე ვუშვებდი, ბურთის სათამაშოდ ვუშვებდი, ხანდახან კინოს ფულიც მქონდა მისთვის გადანახული... და ასე დამიფასა ამაგი? იჯდეს ახლა ოთახში გამოკეტილი და ითვალოს ქალაქები“... ბებია პელო მორჩა ქურასთან ფუსფუსს, ხელები შეიწმინდა, თემოს ოთახში შეიხედა და გაქვავდა. ოთახში არავინ იყო. „ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!“—გაიმეორა რამდენჯერმე და ახლა სხვა ოთახებშიაც შეიხედა. ერთბაშად ვერ მიხვდა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო თემო. მერე ღია ფანჯარა შენიშნა, მივიდა, გადაიხედა, სახეზე იტკიცა ხელი. „არა, ამ ბიჭს არაფერი ეშველება. ნამდვილად გათვალულია, ნამდვილად...“

ამ დროს ჩვენი „გათვალული“ ბიჭი, ფილიპა მზარეულის შვილიშვილთან ერთად, სპარტაკის ქუჩის ბოლოს, ნავების შემკეთებელი სახელოსნოს ნანგრევებში იჯდა და შორეულ მოგზაურობაზე ოცნებობდა.

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გვყავდეს საკუთარი ფლოტი.

— ავიაცია არ გვინდა? — გაიცინა სანდრომ.

— შენ იხუმრე, ნავის აშენება კი სულაც არაა ძნელი, — არ იშლიდა თავისას თემო, — წარმოიდგინე, სპარტაკის ქუჩის ყველა ბიჭს ჰყავდეს თავისი საკუთარი ნავი, სპარტაკის ქუჩის ბიჭები საკუთარი ნავით დასეირნობდნენ ზღვაზე.

სანდრომ პირი გააპლაკუნა. ეტყობა, თავი ერთ-ერთ ლამაზ, კოხტა ნავზე წარმოიდგინა და ოცნებამ გაიტაცა. წვრილი, ჟიჟმატი თვალები კიდევ უფრო დაუპატარავდა, სახეზე ღიმილი აუპრიალდა და ტუჩის კუთხეები გაუპო.

— ერთ-ერთ ნავს „ელდორადო“ დავარქვათ, — თქვა ფიქრებში წასულმა.

— „ელდორადო“? — იკითხა თემომ. — კარგი, „ელდორადო“ იყოს, ოღონდ, ჯერ ნავის აგებაზე ვიზრუნოთ, ფიცრები და ათასი სხვა რამ გვაქვს ხაშოვნელი...

— გუდრონი ჩემზე იყოს. ხვალ ნავსადგურში წავყვები მამას და იქიდან მოვიტან. ისეთი მბზინავი გუდრონია, ზედვე ეტყობა, მაგით გაპოხილი ნავის ფსკერი წყალს არ მიიკარებს.

— აბა, ორი გრძელი ფიცარი მე სარდაფში მაქვს დამალული. გახსოვს, ამასწინათ რომ დიდი ღელვა იყო? აი, მაშინ გამორიყა ზღვამ.

ბიჭებმა კიდევ ბევრ რამეზე ილაპარაკეს და დაასკვნეს: მართალია, ჯერჯერობით ნამდვილ ფლოტზე ოცნება ძნელია (ეს უფრო ახლო მომავლის საქმეა), მაგრამ ერთი პატარა ნავის გაკეთებას, თუკი სპარტაკის ქუჩის სხვა ბიჭებიც დაინტერესდებიან, უსათუოდ შევძლებთო.

— ყოველგვარ საქმეს, სულერთია ეს, დიდი საქმეა თუ პატარა, მოთავე და ხელმძღვანელი სჭირდება, — თქვა სანდრომ, — ფილიპე ბაბუასაგან გამიგონია...

სანდროს ბაბუას ფილიპე ერქვა, გვარად ლობჟანიძე იყო. ფილიპე მეთევზეთა დაბის ერთადერთი ღირსშესანიშნაობის — რესტორან „ოცნებათა ფრთების“ უცვლელ შეფ-მზარეულად ითვლებოდა. სხვათაშორის, ფილიპე ლობჟანიძის ეგრეთწოდებული „ფილიპას სალიანკას“ დამსახურება იყო, რომ „ოცნებათა ფრთები“ ასეთი პოპულარობით სარგებლობდა მთელ ზღვისპირეთში.

— ჰო, მეთაური მართლაც უნდა ავირჩიოთ, — დაუმოწმა თემომ.

სანდრომ მეგობარს შეხედა. არა, სანდრო არ იტყოდა მეთაურობაზე უარს, მაგრამ თემოს წინ ვერ აღუდგებოდა. თემო გულადი და უშიშარი იყო. თემო ყველას უყვარდა. შარშან, როცა გოგია მეტრეველი კლასის მამასახლისად აირჩიეს, გოგიამ ქედმაღლობა დაიწყო, აქაოდა დიდი უფლებები მაქვსო, და რაც მოეპრიანებოდა, იმას ავალებდა ბიჭებს. ვერავინ ვერაფერი ვერ გაუბედა. თემომ კი... თემო მაგარია, როგორ მიტყუება, ა?

— რად გვინდა მეთაურის არჩევა? — ვითომ განგებ გაიკვირვა სანდრომ, — შენ დაიწყე ეს საქმე და შენვე მოუარე. ჩვენ ყველანი მოგეხმარებით. ვაჟა ბანძელაძეს ვეტყვი, გოგია დოლიძეც, აქედანვე ვიცი, თანახმა იქნება, კიდევ ვინ დარჩა?

—რეზო წულაძე... ომარია გრძელცხვირა... ცუგო სვანიძე... რობერტა მამალაძე...

— მთელი არმიაა!

— ხვალვე შევიკრიბოთ. ყოველი შემთხვევისათვის, ქუჩის კუთხეში განცხადება გავაკრათ.

— ეს თემო პირდაპირ ჭკუის კოლოფია, — დაასკვნა სანდრომ.

— განცხადება თეთრ მუყაოზე დავაწერინოთ ცუგო სვანიძეს, მაგან კაი ხატვა იცის.

სანდრომ შუბლზე მიირტყა ხელი და წამოვარდა.

— იცი, რა მომივიდა აზრად?

თემომ გაოცებით შეხედა.

— განცხადების ნაცვლად, უმჯობესია, მოსაწვევი ბარათები დავუგზავნოთ ბიჭებს. შიკრიკად ილოს გამოვიყენებთ.

— ეგ კი მართალია, —გაწითლდა თემო. და იცით რატომ გაწითლდა? ეგონა, რადგან მეთაური იყო, გონიერ წინადადებას მის მეტი ვერავინ წამოაყენებდა. ჰოდა, შეცდა. მაგრამ არ გაჯიუტებულა, ისე მოიქცა, როგორც უკეთესი იყო...



(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

# ლაშქრობა ძამის, გუჯარეთისა და ბორჯომის ხეობებში

საქართველოს პიონერთა შტაბს — გორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს დაარსების 25 წელი შეუსრულდა. სასახლისა და ქარელის პიონერთა სახლის ნორჩმა ტურისტებმა თავიანთი ლაშქრობა სწორედ ამ სასიხარულო თარიღს მიუძღვნეს. თბილისელმა და ქარელელმა პიონერებმა გრძელი და საინტერესო მარშრუტი აირჩიეს: თბილისი-ქარელი-ყინწვისი-გვერძინეთი-ტყემლოვანა-გადასასვლელი-გვერდისუბანი-ტიმოთესუბანი-წალვერი-ბაკურიანი-სადზერის პლატო-ბორჯომი-თბილისი. ნორჩმა მოლაშქრეებმა მარშრუტის ყველაზე საინტერესო მონაკვეთი — **ძამას, გუჯარეთის და ბორჯომის** ხეობები ფეხით გაიარეს, დაათვალიერეს და შეისწავლეს ამ ხეობათა რუსთაველის ეპოქის ძეგლები და სხვა ღირსშესანიშნაობანი.

მოლაშქრეთა უმრავლესობა დღიურებს წერდა. ლაშქრობის ხელმძღვანელი დენიზა გოზალიშვილი ჩვენი ჟურნალის მკითხველებს სთავაზობს უველაზე საინტერესო სტრიქონებს ამ დღიურებიდან.

**17 ივნისი.** სასიხარულო დღე დაგვიდგა, — ქარელში გვეწვივნენ თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის წევრები. ჩვენ მათ შეხვედრა მოვუწყვეთ, ხელმძღვანელებსა და გოგონებს ყვავილები მივართვით. მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. ლაშქრობის ხელმძღვანელმა დეიდა დენიზამ პიონერთა სახლში შეკრებილ მოსწავლეებს ლაშქრობის მარშრუტი გაგვაცნო და გვესაუბრა, თუ როგორ უნდა მოვმზადებულიყავით სალაშქროდ. ჩვენი სტუმრები ქარელის მე-2 საშ. სკოლაში დაბანაკდნენ.

**18 ივნისი.** დილით ადრე, ადგილობრივ პიონერებთან ერთად, ძამის ხეობისკენ გავემგზავრეთ. მდინარე ძამა მტკვარს სამხრეთიდან ერთვის ქარელთან. ლამაზია ძამას ხეობა, — მდინარის პირას შეფენილია სოფლები, ხეობა ჯერ გაშლილია, შემდეგ კი თანდათან ვიწროვდება.

მდინარის მარცხნივ, სოფელ სამწევრისში მეშვიდე საუკუნის ძეგლი, სამწევრისის ტაძარია აღმართული. ეს ტაძარი მტრების მიერ მრავალჯერაა დანგრეული, დღეს კი საბოლოოდ აღდგენილი და დაცულია.

სოფელ ყინწვისიდან ყინწურას ხეობაში ფეხით ავყევით აღმართს. მალე მივაღწიეთ მთაზე წამომდგარ წმ. ნიკოლოზის ტაძარს, რომელიც ლამაზად ჩამჯდარა ფოთლოვანი ტყით დაფარულ შემოგარენში. მონასტერს, დიდი და ლამაზი, გაშლილი ეზო აქვს, ეზოში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია. გარს შემოვუარეთ აგურით ნაშენ და ქვაფიქალით გადახურულ ტაძარს. ამ ტაძარს გარედან არავითარი ისეთი შემკულობა არა აქვს, როგორიც გვინახავს ამავე ეპოქის სხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, მაგრამ სამაგიეროდ შიგნით, კედლებს დღემდე შემოუნახავს მაღალი გემოვნებით შესრულებული მხატვრობა.

ჩვენი ყურადღება ჩრდილოეთის კედელზე თამარ მეფის, გიორგი III-



კოშკი ძამას ხეობაში.



ისა და ლაშა გიორგის გამოსახულებამ მიიპყრო. თამარის ფრესკა, მისი სიცოცხლის დროს დახატული, საქართველოში, სულ ოთხი ყოფილა; ვარძიის, ბერთუბნის, ბეთანიის და ყინწვისის ტაძრებში. ორი მათგანი, ვარძიისა და ბეთანიის ფრესკები, ჩვენი ლაშქრობების დროს მაქვს ნახული. დღეს მესამეც ვნახე. სამეფო ოჯახს ზევით კარგად ცნობილი ყინწვისის ანგელოსია მჯდომარედ გამოსახული.

დასავლეთის მხარეს ტაძარს მიშენებული აქვს პატარა ოთახი — ეკვტერი, სადაც ამ ტაძრის აღმდგენელის და განმაახლებლის პორტრეტია გამოსახული. მას მარჯვენა ხელში უჭირავს ტაძრის გეგმა ასომთავრული წარწერით: „ფანასკერტელი ზაზა“, ამ სახელთან არის დაკავშირებული ძამას ხეობა, მისი ციხე-კოშკები.

იმ დროისათვის დიდად განათლებული პიროვნება ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი (ავტორი ცნობილი სამკურნალო „კარაბადინისა“) ეწეოდა დიდი სამშენებლო მოღვაწეობას. ძამას ხეობას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

განვაგრძეთ გზა. გავიარეთ სოფელი ზღუდერი. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ ეს ხეობა ძველთაგანვე ყოფილა დასახლებული. სოფელ გვერძინეთში, იქ სადაც მდინარე ძამას აბუხალოს წყალი უერთდება, ყველაზე ვიწრო ადგილას, კლდეზე, ერთი-მეორის მოპირდაპირედ ორი ციხე-კოშკი დგას. ერთი მათგანი ძამას დაჰყურებს, მეორე კი — აბუხალოს. გადავწყვიტეთ აქ შეგვესვენა. ბიჭებმა ძამას წყალში გადაუშვეს ანკესები, მაგრამ, აბა, მათ ყრიამულს რომელი თევზი გაუჩერდებოდა!

დავათვალიერეთ ძველი წისქვილი... შემდეგ კი ისევ გზას ავუყევით. გზის აქეთ-იქით, მთის კორწოხებზე, ციხის ძველ ნანგრევებს ვხედავთ... მალე საგუბართან მივედით. აქ აბუხალოს წყალს მდინარე ტყემლოვანა ერთვის. ჩვენ სინანულით გავცქეროდით აბუხალოს წყალს, რომლის სათავეებისაკენაც გვქონდა თავდაპირველად გეზი. იქ საინტერესო გამოქვაბულები და შოთა რუსთაველის ეპოქის ფრესკები გველოდნენ, მაგრამ, ცუდი ამინდის გამო, გეზი ვიცვალეთ და ტყემლოვანასკენ გავეშურეთ სოფელი ტყემლოვანა ხეობის ორივე ფერდობზეა გაშენებული და შუაში მდინარე ჩამოუდის...

**19 ივნისი.** დილის 6 საათზე ფეხზე ვიყავით, შევკარით ბარგი, ავიკიდეთ ზურგჩანთები და დავიძარით. წინ ძნელი, მაგრამ საინტერესო გზა გვაქვს. მჟავე წყალთან წავიხემსეთ. ორი კილომეტრის შემდეგ გზამ მარჯვნივ შეუხვია და შუანას წყალს გაჰყვა.

ავედით ტბასთან, რომელსაც დიდხანს ვერ მოვცილდით, ისე ლამაზი იყო.

12 საათზე დიდი შესვენება მოვაწყეთ. ზევიდან დავყურებთ ჩამუქებულ ხეობას და ჩვენს მიერ გამოვლილ გზას. სადღაც შორს, ხეობის ძირში მიყუჟული, ძლივს მოჩანს ტყემლოვანა.

ანაზდად მწყემსების შეძახილები და ძაღლების ყეფა შემოგვესმა. იქ, ზევით, გადასავალია. კვლავ ვიკიდებთ ზურგჩანთებს და უკანასკნელ აღმართს მივუყვებით. გავედით მწვანე ფერდობზე. ახლა უფრო ხშირად ვისვენებთ. ბოლოს თხემსაც ავაღწიეთ და თხემს იქეთ გადავიხედეთ. ჩვენს ქვემოთ შესანიშნავი ხედი გადაიშალა: ტყეებით დაფარული, ნისლში გახვეული ცხრაწყაროს მთები! მის ქვემოთ — კოხტა გორა და მიტარბი, მარჯვნივ — თრიალეთის მშვენება, მწვერვალი გვირგვინა ღრუბლებში გახვეულიყო. გადასავალი თუმცა ჩვენამდე ბევრს დაულაშქრავს, მაგრამ ჩვენ მას ჩვენ სახელს ვარქმევთ, — „მზიანი“.

**20 ივნისი.** მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა, ახლა გადაიღო. სკოლის ეზოში კოცონი გიზგიზებს, ტანისამოსი შრება. მორიგეები ადრე შედგომიან საუზმის თადარიგს.

ბევრი გვსმენია გვერდისუბანზე, მაგრამ ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა.

მთებით შემოზღუდულ ფერდობზე შეფენილმა სოფელმა, მაღალმა ნაძვებმა, მწვანე მდელოებმა, მთის ნაკადულებმა და მინერალურმა წყლებმა ამ მხარეს შორს გაუთქვეს სახელი. ყველამ კარგად ვიცით, რომ აქ არის გვერდისუბნის ტურისტული ბანაკი, სადაც ზაფხულობით საქართველოს ყოველი კუთხიდან თავს იყრიან ნორჩი მოგზაურები, სტუმრად ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებიდანაც.

**21 ივნისი.** მივდივართ გუჯარეთის ხეობაში. გავიარეთ სოფელი მაჭარწყალი, გზად ნასოფლარებს, ციხეებს და ძველ ეკლესიებს ვათვალიერებთ. გვირგვინას ფერდობზე ციხე მოჩანს. აქ წინათ გზა გადიოდა ქართლისაკენ...

მივყვებით მდინარე გუჯარეთს; ლამაზი ჭალები. ნაძვნარი. ნაძვნარს ფოთლოვანი ტყე ერევა. სიმღერით ვეშვებით სულ ქვევით და ქვევით. აგერ, გუჯარეთის წყლის მარცხენა ნაპირას, კლდეში ნაკვეთი მტრისაგან თავდასაცავი გამოქვაბული! ამ გამოქვაბულიდან რამდენიმე წლის წინათ მთლიანად ხისაგან გამოჭრილი სასწორი ჩამოუტანიათ, რომელიც დღეს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. კლდეების მოპირდაპირე მხარეს, „საყდრის ხევში“, სოფელი ტიმოთესუბანია გაშენებული. სოფლის ზემოთ კი XII-XIII საუკუნის სამონასტრო ნაგებობაა აღმართული.





ყინწვისი.

მთა ძამას ხეობაში

იწყება ლაშქრობა.



ტიმოთესუბანი.



ცხრა მთას რომ გადაივლი, მერე დასვენებასაც სხვა გემო აქვს.

ტიმოთესუბნის ტაძარი, ისევე როგორც ყინწვისი, აგურით არის ნაშენი. მისი ლამაზი, დახვეწილი და მაღალი გუმბათი, შემკულია ცისფერი მოჭიქული ფილებით. ტაძრის შიგნითა კედლები მოხატულია.

დღეს 14 კ. მ. გავიარეთ.

**22 ივნისი.** ბაკურიანში ვართ. — ზღვის დონიდან 1.700 მეტრის სიმაღლეზე.

ვათვალიერებთ ახალ მშენებლობებს. ბაკურიანს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის კოხტა გორაზე აგებული ახალი საბაგირო გზა. აღფრთოვანებული დავრჩით მაღალმთიანი ალპური ყვავილების, — დეკას ბუჩქებით.

ღამის გასათევად სათხილამურო ბაზის ტერიტორიაზე დავბანაკდით. ჩვენი მასპინძელი, ბაკურიანის მკვიდრი ლევან ფანჯიკიძე, საქართველოს პირველი ჩემპიონი სათხილამურო სპორტში, — გულთბილად გვხვდება და ბევრ საინტერესო ამბებს გვიამბობს თავისი სპორტული წარსულიდან...

**23 ივნისი.** შესანიშნავი სამანქანო გზით ცხრაწყაროს გადასავალისაკენ მივდივართ. გზა და გზა მაღალ ანძებზე შემსხდარ მემონტაჟეებს ვესალმებით. ისინი რთულ სამუშაოს ასრულებენ, — ცხრაწყაროს გადასავალზე აშენებენ 3,6 კმ. სიგრძის საბაგირო გზას.

ცხრაწყაროს გადასავალი ზღვის დონიდან 2.500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აქედან გზა გადადის ახალქალაქსა და ახალციხეში, იქიდან კი, აბასთუმნის გავლით და ზეკარის უღელტეხილით — იმერეთში.

ჩვენს მარცხნივ გზა ეშვება ერთერთ ყველაზე მაღალ, ალპური ზონის ტბაზე — ტაბაწყურაზე. (ახლა იქ მეთევზეობის დიდი მეურნეობაა).

გავცქერით ჯავახეთის მშვენებას— დათოვლილ მწვერვალს აბულ-სამსარას ,რომელიც 1953 წელს თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩმა მთამსვლელებმა დალაშქრეს.

ჩვენს წინ, 2.700 მეტრზე ზღვის დონიდან, ცხრაწყაროს მწვერვალია. აქედან კარგ ამინდში მთელი კავკასიონის ქედი იშლება თვალწინ, ქვევით კარგად ჩანს ბორჯომის ხეობა.

მოკლე გზით ბაკურიანისაკენ ვეშვებით. ფერდობები ალაგ-ალაგ შარშანდელი თოვლით არის დაფარული. ამ შუა ზაფხულში თოვლზე ვსრიალებთ და ვგუნდაობთ.

გზად კავკასიური ნაგაზები შემოგვესივნენ ყეფით. თურმე აქ კახეთი-

დემოკრიტე: სიმამაცე ბედის დარტყმებს არარაობად აქცევს.

ვოლტერი: ნამდვილი სიმამაცე უბედურების დროს იჩენს თავს.

ფ. ლაროშფუკო: ნამდვილი სიმამაცე ის არის, რომ მოწმეების გარეშე გააკეთო ის, რასაც აკეთებ სხვათა დასანახად.

პ. პავლენკო: სიმამაცე — ეს არის ბოლომდე შეგნებული პასუხისმგებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან წამოუყვანიათ ცხვარი საძოვრებზე.

მალე ჩავიარეთ ცხრაწყაროს ფერდობები და მთის გულიდან მორაკრაკე ცივ წყაროსთან შევისვენეთ და ვისაუზმეთ.

შევედით ტყეში. ტყის ბოლოს, ვაკეზე, ხის კოშკურა დგას, — აქ გეოლოგები მინერალურ წყალს ეძებენ.

სადამოთი მელიების ფერმას ვეწვიეთ, სადაც რუხი ფერის ძვირფასბეწვიან მელიებსა და ბაკურიანში გამოყვანილ თეთრბეწვა მელიებს აშენებენ.

**24 ივნისი.** გავიარეთ ბორჯომის ხეობის ულამაზესი კურორტები: ლიბანი, ცემი, ტბა. შევჩერდით სადგერის პლატოზე. აქ ტურბაზის დირექტორი ამირან მაკალათია გვხვდება. ამ შესანიშნავ ტურბაზაში ისე ვგრძნობდით თავს, როგორც საკუთარ სახლში.

**25 ივნისი.** პლატოდან საბაგირო გზით ბორჯომ-პარკში დავეშვით. დავათვალიერეთ ქალაქი-კურორტი, მისი ლამაზი ხეივნები და დასასვენებელი სახლები. დავლიეთ ბორჯომის წყალი.

**26 ივნისი.** ვემშვიდობებით ჩვენს ქარელელ მეგობრებს, რომლებთანაც ერთად ათი საინტერესო, შინაარსით სავსე დღე გავატარეთ. ბევრი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, დაღლილნი, მაგრამ მაინც კმაყოფილნი და შთაბეჭდილებებით სავსენი ვბრუნდებით ჩვენს მშობლიურ თბილისში.

შემოდგომაზე ისევ შევხვდებით ქარელელ მეგობრებს პიონერთა სასახლეში გამართულ საანგარიშო დილაზე.



## თბილისის კართან

დაბინდდა...
მე უკვე დავშორდი თრიალეთს
და მყისვე ალერსი ვიგრძენი გამზრდელის,—
თბილისმა მომხედა თვალების ბრიალით,
და მერე—თვალი აქვს რამდენი!..

ამ ეშხმა მე ლამის მუხლები მომკვეთა,
გულში კი ხალისმა იმატა;
თბილისში მეგულვის მრავალი მოკეთე,
ყველა გზა მიმიყვანს იმათთან.

მეცნობა ყოველი ქუჩა და უბანი,
მთაწმინდის ყოველი ქარაფი;
თბილისში შემოვალ არა ვით სტუმარი,—
მეც თითქოს მკვიდრი ვარ საყვარელ ქალაქის.

გარშემო სინათლის ნაკადი ილვრება
და ქრება ბოლივით ნაღველი...
როგორ არ იმღერებს ჭაბუკი სიმღერას
მშობლიურ თბილისის მნახველი.

ბიძინა ნიკლაური.

**სენეკა:** სიმამაცე შიშისადმი ზიზღია. იგი არად აგდებს საფრთხეს, იწვევს მას ბრძოლაში და აცამტვერებს.

**ა. ტოლსტოი:** ჩვენი სამშობლო გმირების აკვანია, მხურვალე ქურაა, სადაც იწრთობიან უბრალო ადამიანები და ისეთივე მტკიცენი ხდებიან, როგორც ალმასი და ფოლადი.

**ლ. ტოლსტოი:** რაც არ უნდა მოხდეს, მხნეობა არ დაკარგო...

**კ. უშინსკი:** მამაცი ის კი არ არის, ვინც საფრთხისაკენ მიიწევს ისე, რომ არ განიცდის შიშს, არამედ ის, ვისაც ძალუძს ყველაზე ძლიერი შიშის დაძლევა და საფრთხეზე ფიქრის დროს შიშს არ ემორჩილება.

**ი. ფიხტე:** დაე, ყველაფერი დავკარგო, ოღონდ სიმამაცე შევინარჩუნო.

**ი. ფუჩიკი:** გმირი — ეს არის ადამიანი, რომელიც გადამწყვეტ ჟამს აკეთებს იმას, რაც საჭიროა ადამიანთა საზოგადოების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობისათვის მუდამ ცოცხალი მაგალითი იქნება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საფრენოსნო სასწავლებლის კურსანტის, უმცროსი სერჟანტის პავლე შკლიარუკის მაღალი ადამიანობა და სიმამაცე, რომელიც მან თავისი მხედრული მოვალეობის შესრულების დროს გამოიჩინა.

ვბეჭდავთ ვ. გლოტოვის ნარკვევს ამ მარად დაუვიწყარი ჭაბუკის ცხოვრებასა და თავდადებაზე.

ნარკვევი იბეჭდება შემოკლებით.

ელენე ალექსანდრეს ასული ოდესიდან ვოლგისპირეთში ჩამოიყვანეს. იგი მძიმე ავადმყოფია, მაგრამ შეუძლია კი დედას, ერთხელ მაინც არ მივიდეს იქ, სადაც დაეღუპა შვილი?

ელენე ალექსანდრეს ასულს მდინარისაკენ მიუთითეს: „აგერ, მანდ...“

და აი, ცრემლით სავსე თვალებით დასცქერის დედა იმ ადგილს. იქ კი მხოლოდ ტალღები გადადიან ერთიმეორეზე... არ არსებობს ისეთი მწუხარება, დედის მწუხარებას რომ შეედაროს. ამ უკიდეგანო ვოლგას კი არა, დედის მკერდს დაენარცხა თვითმფრინავი...

მე სულ ვფიქრობ ხოლმე: საიდან ჰქონდა ოცი წლის ჭაბუკს ესოდენ უსაზღვრო ადამიანობა? რამ მისცა ეგზომ მტკიცე ნებისყოფა და ასეთი თავგანწირვის უნარი?

ჯერჯერობით ერთი რამ არის უდავო — პავლე შკლიარუკი ჩინებული კურსანტი აღმოჩნდა და ნამდვილი მფრინავი-გამანადგურებელი გახდებოდა..

ვოლგისპირა ქალაქში, სადაც პავლე ფრენას სწავლობდა, დედამისი, მამა და ბიძა ჩამოვიდნენ. მე ვესაუბრე მათ. ვნახე ერთი კურსანტი, რომლის საწოლიც პავლეს საწოლის გვერდით იდგა. მას გულმოდგინედ გაუსწორებია მეგობრის ლოგინი და დღემდე ხელი არავის არ უხლია ამ ლოგინისთვის. ვესაუბრე აგრეთვე რამდენიმე მეთაურს, რომლებიც ფრენას ასწავლიდნენ პავლეს.

ყველა ესენი სხვადასხვა მხრივ და სხვადასხვა დროს იცნობდნენ პავლე შკლიარუკს. ზოგისთვის იგი პავლეა, ზოგისთვის პავკა, ზოგიერთისთვის კი — პავლიკი. თითოეულ მათგანს ჰქონდა პავლესთან უკანასკნელი შეხვედრა.

აი, როგორ მოხდა ეს..

შკლიარუკების ოჯახში იყო ომის დროს გადაღებული ფოტოსურათი. მასზე გამოსახულია ახალგაზრდა სამხედრო მფრინავი, ლეიტენანტი ლევჩენკო — პავკას ბიძა.

— აი, რა მახსოვს მე პავკას შესახებ, — მიამბობს ვასილ ალექსანდრეს ძე ლევჩენკო, — პირველად რომ ვნახე, იგი ექვსი წლისა იყო. დარბოდა, თვალებდაჭყეტილი მიყურებდა ხოლმე, როცა ომის ამბებს ვუყვებოდი. მე მოიერიშე ვიყავი. ოცდათორმეტი საბრძოლო გაფრენა მქონდა... მე და პავკა თვითმფრინაობანას ვთამაშობდით. „ეს რაა ქამარზე?“ — მკითხა მან უცებ. მე, ჯარისკაცულ ქამარზე, სახსოვრად, ომამდელი სამხედრო ნიშანი — კუბიკი მქონდა დამაგრებული. წინათ ასეთებს ატარებდნენ-მეთქი, — ავუხსენი. „შეიძლება სამხრეებს ნიშნები ავაძრო?“ — მკითხა ისევ. ააძვრე-მეთქი, ვუთხარი. მე ახლა უკვე აღარა ვარ ოფიცერი, შახტში ვმუშაობ, ხოლო ის ნიშნებამძვრალი სამხრეები კი აქამდე მაქვს შენახული.

პავკა თერთმეტი წლისა იყო, როცა ყოფილი კაპიტანი-მოიერიშე მეორედ ნახა.

— პავკა ეზოში ველოსიპედს დააქროლებდა. „ფთხილად, დაიმტვრევი!“ — დავუძახე მე. არ დავიმტვრევიო. უშიშარი ყმაწვილი იყო. მოდის ჩემთან და მეუბნება: „არ იფიქრო, ბიძია ვასია, ქამარი და ის ნიშნები დამეკარგოს. ყველაფერი შენეული სახლში მაქვს შენახული“. მესამედ არ შევხვედრივართ ერთმანეთს. შკლიარუკებისაგან დეპეშა მივიღე: პავლიკი დაიღუპა. მივფრინავთო...

აბა, რას იფიქრებდა პავლეს მამა, რომ გმირსა ზრდიდა? იგი, უბრალოდ, ასწავლიდა შვილს, — ყოფილიყო კეთილი, წესიერი.

„პავკა! მე შენ ყურებს აგახლეჩ, თუ არ მოეშვები შარაგზაზე ხეტიალს“, — ჯავრობდა მამა. „მე, მამილო, საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი ვარ...“ — უხსნიდა თორმეტი წლის ყმაწვილი, რომელიც უკვე შესანიშნავად მართავდა მოტოციკლსა და მანქანას. მამა შიშობდა შვილზე, უფრთხილდებოდა მას, მაგრამ რა უნდა ეპასუხნა, როცა შვილი ეტყოდა ხოლმე: „მე ხომ ლაჩარი არა ვარ, მამილო!“

შკლიარუკების ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. უფროსი შვილი, კაპიტანი, ციმბირში მსახურობდა, ხოლო დანარჩენები ოდესაში სახლობდნენ. დედა გამუდმებით ავადმყოფობდა, მამა ზოოტექნიკოსად მუშაობდა. როცა პავკა მეათე კლასში გადავიდა, გადაწყვიტეს, იგი ციმბირში, ვიქტორთან წასულიყო და სკოლა ექსტერნად დაემთავრებინა.

ნახევარი წელი დაჰყო პავკამ ძმასთან. მათემატიკა მან კარგად იცოდა, თანაც ძმის ამხანაგი ოფიცრები წაეხმარნენ და... პავკა ატესტატით ხელში დაბრუნდა ოდესაში.

მაგრამ მან ინსტიტუტში როდი შეიტანა განცხადება, სახელოსნოში დაიწყო ხარატად მუშაობა. ორმა გარემოებამ აიძულა იგი ასე მოქცეულიყო: ჯერ ერთი, უნდა როგორმე შეემსუბუქებინა მამისათვის ტვირთი, და მეორეც, — პავკას არც ერთი ჩვეულებრივი პროფესია არ იზიდავდა. მას ბავშვობიდანვე ერთი ოცნება დაუფლებოდა — მფრინავი გამხდარიყო. ოჯახური საქმეებისაგან თავისუფალ დროს იგი პლანერებსა და პარაშუტებს ანდომებდა. სახლის საკუჭნაო ბამბუკის თამასების, ბენზინის პატარ-პატარა ძრავებისა და საავიაციო მოდელების საწყობი გეგონებოდათ. ამ მოდელების მიხედვით, რომლებსაც ყმაწვილი ფრენას ასწავლიდა, აშკარად ჩანდა, დღითიდღე როგორ იზრდებოდა პავკას, როგორც კონსტრუქტორის, ოსტატობა.



სულ მალე, პავკამ თვითონ დაიწყო ფრენა. ერთხელ პლანერით ზღვაზე დაჯდა და პირველად გამოსცადა თავისი ნებისყოფა. ასეთი გამოცდის შემდეგ ადამიანები, ჩვეულებრივ, ან გამოიცვლიან ხოლმე არჩეულ პროფესიას, ან სამუდამოდ იყვარებენ მას. პავკა შეუდგა საფრენოსნო სასწავლებელში შესასვლელად მზადებას.

— პავლიკ, შენ კარგად ხაზავ, — ეუბნებოდა მამა,— დედაშენი და მე როგორმე გავიჭირვებთ, შედი ინსტიტუტში.

—არა, მე მფრინავი გავხდები.

— ოდესაში საავიაციო სკოლა არ არის. შედი კავშირგაბმულობის ინსტიტუტში, — ურჩევდა ძველი ჯარისკაცი, რომელმაც გამოიარა ომი და იცოდა, რარიგ ძნელია ჯარისკაცობა.

მაგრამ ყოველთვის მოკრძალებული და თვინიერი პავკა ჯიუტად იმეორებდა:

— საფრენოსნოში შევალ. მფრინავი უნდა გავხდე.

ეს იყო მამა-შვილის უკანასკნელი მამაკაცური საუბარი.

ამჟამად კიდევ უფრო გაჭაღარავებული და მხრებში მოხრილი ვასილ ევგენის ძე ნაღვლიანად ამბობს: „პატარა რომ იყო, მე თვითონ მომქონდა მისთვის თვითმფრინავის მაკეტები, და ისიც, გახარებული, სულ ატრიალებდა და ატრიალებდა მათ... პავკას უსათუოდ უნდა ეფრინა“.

ელენე ალექსანდრეს ასულმა შვილი უკანასკნელად შარშან, შემოდგომაზე ნახა. პავლეს დედა იმ დროს ოდესის საავადმყოფოში იწვა — მძიმე ოპერაცია ახალი გადატანილი ჰქონდა. მოულოდნელად, მომვლელმა ქალმა ამბავი მოუტანა: შენი შვილი ჩამოფრინდაო.

პავლეს კურსანტის გიმნასტურა ეცვა. ელენე ალექსანდრეს ასული იმ დღეს პირველად წამოდგა ლოგინიდან და საავადმყოფოს ეზოში გამოვიდა; მაგრამ იქ მალე შესცივდა და პავლემ იგი პალატაში შეიყვანა. პავლე საღამოსაც მივიდა საავადმყოფოში და დედა ბეწვის ლურჯ ქურთუკში შეფუთნა. „ეტყობა, თქვენ მანდ კარგ ტანისამოსს გაძლევენ,“ — უთხრა ელენე ალექსანდრეს ასულმა.

მთელი თავისი შვებულების მანძილზე პავლე დედას გვერდიდან არ მოსცილებია. დაჰყავდა რენტგენოთერაპიულ კაბინეტში, თავისი ხელით აჭმევდა... ბავშვივით ატირდა მშობელთან გამომშვიდობებისას. სულ იმას ფიქრობდა, ვაითუ ჩემს აქ არყოფნაში რაიმე მოუვიდეს დედას და ამიერიდან ვერასოდეს ვერ ვნახოო.

—მინდოდა რაიმე მესახსოვრებინა მისთვის, — ჰყვება ელენე ალექსანდრეს ასული. — ერთხელ სანიტარმა ქალმა ავტოკალამი მოიტანა..· უცხოური... მინდოდა ეს კალამი მეყიდნა პავკასთვის. არასგზით არ ქნა. მხოლოდ ამას მეუბნებოდა: „გამაგრდი, დედი, თავს გაუფრთხილდი, ჩემზე ნუ სწუხხარ“. მბანდა დასივებულ ფეხებს, სასეირნოდ დავყავდი, მფუთნიდა. ქურთუკი კი, ის ლურჯი ქურთუკი, თურმე მისი არ ყოფილა. გვიან გავიგე ეს. ამხანაგისას მისულა და გამოურთმევია ჩემთვის. ვაი, უბედურო ჩემო თავო! — როგორ ვერ მივხვდი: მას ხომ გიმნასტურა ეცვა, როცა ჩამოფრინდა!

მთელი ის დღეები, რომლებიც განგებამ მათთვის გამოიმეტა, რათა სამუდამოდ გამომშვიდობებოდნენ ერთმანეთს, დედა და შვილი უსათუთეს ყურადღებას იჩენდნენ ერთიმეორისადმი. და ახლა, როცა ვხედავ ელენე ალექსანდრეს ასულის გამოუთქმელ ტანჯვას, როცა ვისმენ უსაზღვრო მწუხარებისაგან დახშულ მის ხმას, უნებურად ვფიქრობ: იმ წუთს, როცა ვოლგაზე ეშვებოდა პავლეს თვითმფრინავი, მის ფრთებს ჰქონდათ ერთი უტყუარი საყრდენი; ეს საყრდენი — დედა-შვილური სიყვარული იყო.

პავკა დიდ მოწიწებას იჩენდა თავისი მეთაურის, პოდპოლკოვნიკ სურავეშკინის მიმართ, რომელსაც მარტო საბრძოლო გაფრენა ხუთას სამოცდაათი ჰქონდა.

პოდპოლკოვნიკი ლაპარაკობს პავლეზე, როგორც რკინის ნებისყოფის კაცზე:

— არ მიყვარს გულგრილი ადამიანები. მას კი მთელი არსებით უყვარდა ჩვენი საქმე. პროფესიული ალღოთი ვგრძნობდი: იგი ნამდვილი მფრინავი უნდა გამხდარიყო.

სასწავლო ფრენა ჩვეულებრივად დაიწყო. პავლემ იმ დღეს, რატომღაც, გიმნასტურა ჩაიცვა, თუმცა დანარჩენმა კურსანტებმა კომბინეზონები პირდაპირ მაისურებზე გადაიცვეს: ზაფხული იყო,

ცხელოდა. „შენ ეს რაო, პავლე?“ — ჰკითხეს აქეთ-იქიდან. „ვინ იცის, იქნებ იძულებითი გადმოხტომა მომიხდეს...“ ბურუსიანი დღე იყო, მაგრამ არწივის მართვეები ასეთ ამინდშიც სწავლობდნენ ფრენას. აფრენა კონვეიერიდან, დაფრენა. კვლავ აფრენა... ყველაფერი ეს, ჯერჯერობით, წვრთნა იყო, რომელიც შემდეგში სამუშაოდ უნდა ქცეულიყო. მაგრამ პავლესთვის იგი სწავლასა და სამუშაოზე მეტს ნიშნავდა. განა შეიძლება სამუშაო ასე მძაფრად, გულის სიღრმემდე გიყვარდეს? კაცს ასე მხოლოდ მაშინ უყვარს სამუშაო, როცა იგი მისი მოწოდებაა.

ამჟამად, ზუსტი გამოთვლებით, დადგენილია: კურსანტი შკლიარუკი რომ გადმომხტარიყო, როცა თვითმფრინავს ძრავამ უმტყუნა, 16 საათსა და 13 წუთზე ფიქსირებული ჰაერის დინება მის პარაშუტს აეროდრომის მიმართულებით წაიღებდა და პავლე ახლა უეჭველად ცოცხალი იქნებოდა.

მე ბევრ ოფიცერს ვესაუბრე. ეს მკაცრი ადამიანები, ოდნავადაც არ აკნინებენ რა თავიანთი ამხანაგის პირად სიმამაცეს, სრულიად ბუნებრივად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ პავლე შკლიარუკმა ქალაქის თავზე უპატრონოდ არ მიატოვა თვითმფრინავი. აი, იგი, ჩვენი მფრინავების ყოფაქცევის ნორმად გამხდარი კანონი — ქალაქის თავზე არ მიატოვო თვითმფრინავი. არსად, არც ერთ ინსტრუქციაში არ სწერია ეს. პირიქით, იქ არის ასეთი სტრიქონი: „...მფრინავს შეუძლია დასტოვოს თვითმფრინავი“.

პავლემ იცოდა ჩვენი მფრინავების ეს დაუწერელი კანონი — იგი არ გადმომხტარა. გამანადგურებლის ფრთებქვეშ მოჩანდა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კორპუსები, ქალაქის საცხოვრებელი კვარტალები... შკლიარუკმა მდინარისაკენ წაიყვანა თვითმფრინავი. იმედოვნებდა, რომ მანქანას, რომელიც სიმაღლეს კარგავდა, ვოლგის წყნარ ზედაპირზე დასვამდა.

მნახველთა თქმით, ეს იყო შესანიშნავი ფრენა. გამანადგურებელი მდინარის გაყოლებით მიჰქროდა და თანდათან ძირს ეშვებოდა, თითქო წყალზე დაჯდომას აპირებსო. მიჰქროდა პირდაპირ ვოლგის თავზე. ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა.



მაშ რამ შეუშალა ხელი. პავლეს წყლის ზედაპირზე გაეცურებინა თვითმფრინავი? რა მოხდა ფრენის უკანასკნელ წამებში?

— მე შიშისაგან თვალები დავხუჭე — მეგონა რკინიგზის ხიდს მიენარცხებოდა, — თქვა ერთმა ბიჭუნამ, რომელსაც ყველაფერი დაუნახავს.

აი, რაში ყოფილა საქმე! — თვითმფრინავი თურმე მთელი სისწრაფით უახლოვდებოდა რკინიგზის ხიდს.

— ჰო, ეს ასე იყო, — დაადასტურა ერთმა ოფიცერმა. — უფრო მეტიც: ხიდზე იმ დროს სამგზავრო მატარებელი გადადიოდა, ხოლო ხიდსა და თვითმფრინავს შუა, ოდნავ მარჯვნივ, დიდი თბომავალი მიცურავდა.

ვიმეორებ: პავლეს ფრენა იდეალურად მიმდინარეობდა იმ წუთამდე, სანამ ხიდსა და თბომავალს დაინახავდა.

თვითმფრინავი უეცრად გადაიხარა და მკვეთრად მოუხვია მარცხნივ, თბომავალს გვერდი აუქცია და ხიდის გასწვრივ გაიქროლა. რა ადვილად ითქმის ხოლმე: სახელური მარცხნივ გადასწიაო. სინამდვილეში კი რაოდენი სიზუსტე და წინდახედულებაა საჭირო ამ დროს.

თვით ბევრისმნახველ მფრინავებსაც კი ანცვიფრებს ის სიმშვიდე, რომელიც ამ უკანასკნელ წამს გამოიჩინა კურსანტმა, სიმშვიდე, რომელიც სიცოცხლის ფასად დაუჯდა მას: ვირაჟის დროს დაფერდებული თვითმფრინავი ფრთით დაეჯახა წყალს და ზვირთებში გაუჩინარდა.

სიმშვიდე, სიმამაცესთან შერწყმული! მისი წყალობით ერთი ხიდი მთელი გადარჩა ვოლგაზე. მთელია თბომავალიც. უეჭველ დაღუპვას გადარჩა ათობით, ან შესაძლოა, ასობით ადამიანი.

. . .

მან ბევრი რამ ვერ მოასწრო თავის ხანმოკლე სიცოცხლეში.

ვერ მოასწრო გამხდარიყო მამა. ერთი თვის შემდეგ იგი პარტიაში უნდა მიეღოთ. ვერ მოასწრო ეფრინა ზებგერითი თვითმფრინავებით.

მაგრამ მან მოასწრო მთავარი: ისე, როგორც მაშინ, ციმბირში, სკოლის ორი კლასი რომ ნახევარ წელიწადში დაამთავრა ექსტერნად, — აქაც, ვოლგაზე, ჭაბუკი მფრინავი რამდენიმე წამში გახდა ნამდვილი მფრინავი, ნამდვილი ადამიანი.

„კომსომოლსკაია პრავდა“.

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი.

# როგორ ისწავლეს მუსიკალური ნოტების ჩაწერა




ევგენი მაჭავარიანი

სანოტო დაწერილობას, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მრავალრიცხოვანი ისტორიული საბუთებით **ცნობილია,** რომ მუსიკა ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე უძველესი დარგია.

მუსიკა ცივილიზაციის გარიჟრაჟზე გაჩნდა, როგორც აუცილებელი სულიერი მოთხოვნილება, როგორც ადამიანის ცხოვრების მარადი თანამგზავრი.

მუსიკის წარმოშობაზე მრავალი თეორია არსებობს. ძნელი დასადგენია, რომელია მათ შორის ყველაზე სრულყოფილი, — დარვინის, რომელიც ამტკიცებს მის ბიოლოგიურ საწყისს; სპენსერის, რომლის აზრით მუსიკის წარმოშობის სათავეები ადამიანის ფსიქო-ემოციურ სფეროსთანაა დაკავშირებული, თუ კარლ ბიუხნერისა, რომლის აზრითაც მუსიკალურ ხელოვნებას აშკარა სოციალურ-ეკონომიური საფუძველი აქვს. ერთი რამ კი ეჭვგარეშეა: უძველესი ეპოქების მუსიკა უთუოდ ძალზე პრიმიტიული იქნებოდა. ალბათ ადვილი იყო მისი დამახსოვრება. ზეპირად გადაეცემოდა ესა თუ ის სიმღერა თაობიდან თაობას, თითოეული ახალი შემსრულებელი მას თავისებურად ასრულებდა, იცვლებოდა და სულ უფრო რთულდებოდა ტექსტიცა და მელოდიაც.

ჩვენს დროშიც კი გვხვდება ერთი და იგივე ხალხური სიმღერა, რომელიც სხვადასხვა კუთხეში მნიშვნელოვანი ცვლილებებით სრულდება. ჯერ კიდევ შორეულ ხანაში საჭირო იყო გარკვეული მელოდიებისა და ტექსტების ზუსტი შესრულება, განსაკუთრებით ე. წ. მაგიური სიმღერებისა და ჰიმნებისა. მუსიკას ხომ ძველთაგანვე უკავშირებდნენ ამა თუ იმ კერპს ან ღვთაებას! პირველყოფილი ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ მუსიკის შესრულებით მას შეეძლო ამა თუ იმ კერპის ან ღვთაების გული მოეგო.

არავინ იცის, თუ როგორი ხასიათისა იყო ძველთაძველი მელოდიები, ან რა გზით ხდებოდა მუსიკის ფიქსაცია, თუმცა მრავალ ძეგლზე ვხვდებით მუსიკალური რიტუალების გრაფიკულ ასახვას (ნახ. 1).

გაცილებით მეტი კონკრეტული მასალაა შემონახული ანტიური პერიოდის ძეგლებში. აქ ჩვენ ვხვდებით არა მარტო ზოგად ცნობებს მუსიკისა და მუსიკოსების შესახებ, არამედ რთულ თეორიულ შრომებს, ბგერის ბუნებაში ჩაწვდომის ცდებს, ზუსტ აკუსტიკურ გამოანგარიშებას, ფრიად საინტერესო ესთეტიკურ თეორიებსაც კი.

პირველ მუსიკალურ ძეგლებს ვხვდებით გაცილებით უფრო გვიან. ესენია: ძველი წელთაღრიცხვის III, II საუკუნეებში პაპირუსებზე დაწერილი პატარა ნაწყვეტი ევრიპიდეს ტრაგედი ა „ორესთეიიდან“, ორ ი ძველებური ჰიმნი საბერძნეთში ნაპოვნი, და უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის ძეგლი, რომელიც იპოვეს მცირე აზიაში გათხრების დროს



ნახ. 1.

(„სეიფელის აკლდამა“). აქ, ერთ-ერთ ქვაზე ამოკვეთილია სამგლოვიარო ჰიმნი, რომლის ტექსტს თან ახლავს ბგერის იმდროინდელი აღმნიშვნე-



ნახ. 2.

ლი (ნახ. 2). სულ რამდენიმე ბგერით შემოიფარგლებოდა მუსიკალური გამა, თითოეული ბგერა აღინიშნებოდა ბერძნული ანბანის გარკვეული ასოთი.

ბგერების ასობრივი აღნიშვნა შემდგომ წლებშიც ყოფილა გავრცელებული. X საუკუნის ევროპულ ძეგლებში კვლავ გვხვდება „მუსიკალური" ანბანი. ამჯერად იგი უკვე მართლაც დახვეწილ გამას ნიშნავდა: ABCDEFG — შვიდი ბგერის დიატონურ (ე. ი. ამაღლებისა და დადაბლების გარეშე) რიგს ასახავდა.

მაშინდელ მუსიკაში არამცთუ ჰარმონიულ თანხლებაზე (ანუ აკორდებზე), არამედ თვით მელოდიის ტემპზე, მეტრზე, რითმსა და ზუსტ სიმაღლეზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

მუსიკალური ბგერების ჩაწერის შემდგომ საფეხურად იქცა ე. წ. „ნევმური სისტემა" (ბერძნული სიტყვიდან „ნევმა" — ნიშანი). განსაკუთრებული ნიშნების საშუალებით, მუსიკოსები ცდილობდნენ მელოდიური სვლის მიმართულების თავისებურ „სტენოგრაფიულ" ასახვას.

აი, როგორი იყო ერთ-ერთი პირველი ცდა (ნახ 3). ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ეს თოთხმეტი ნიშანი გამოიგონა ბერმა ექვთიმემ, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა IV საუკუნეში.

ასოებისაგან განსხვავებით, ნევმების მიხედვით მელოდიის აღქმა გაცილებით უფრო კონკრეტულია, ნათლად ჩანს მისი მოძრაობა — ზევით ან ქვევით. ნევმების მეშვეობით შეიძლებოდა მდორე სვლის, შეჩერების, ან პირიქით —ნახტომის აღნიშვნა. ალბათ ამიტომ გავრცელდა ნევმური სისტემა ევროპის ქვეყნებში. ნიშნები გალობის ან სიმღერის ტექსტის ზევით იწერებოდა (ნახ. 4). ქართულ ხელნაწერებში ჯერ კიდევ XI საუკუნეში გვხვდება ტექსტის ზევით და ქვევით დასმული, საკმაოდ განვითარებული ნიშნები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს მრავალხმიანობაზე მიგვითითებს. ასეა თუ ისე, იმ დროის ქართველ კომპოზიტორებს, ანუ „ხმის დამდებლებს", მუსიკის ჩაწერის მაღალი ტექნიკა ჰქონიათ.

მაგრამ, ნევმურ სისტემას მრავალი ხარვეზიც ჰქონდა. ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი იყო ბგერის სიმაღლის გაურკვევლობა. მხოლოდ X საუკუნეში ვინმე უცნობ ფრანგ ბერს დაებადა ბრწყინვალე იდეა. მან ნევმების თითოეული სტრიქონი ერთი ხაზით გადახაზა და ამ ხაზს მიუწერა ასო „F". ეს ასო უკვე ერთ კონკრეტულ ბგერას ნიშნავდა. გასაგები გახდა თითოეული ნევმის სიმაღლე. შემდგომში ერთ ხაზს დაემატა მეორე ხაზი, მას მიუწერეს ასო „G" (ნახ. 5), ხოლო XI საუკუნის ცნობილმა მუსიკალურმა მოღვაწემ გვიდო არეცოელმა ამ ორ ხაზს კიდევ ორი დაუმატა. გარე ხაზი „F" იყო წითელი, ხოლო „G" — ყვითელი, შუათანა ხაზები კი —შავი. თითოეული ნევმა თავსდებოდა ან ხაზებზე, ან მათ შუა. გვიდოს მიერ გამოგონებული ოთხი ხაზი XIV საუკუნემდე იყო გავრცელებული, მხოლოდ შემდეგ შემოიღეს მეხუთე ხაზი და დღევანდელი „გასაღებები". კათოლიკურ საეკლესიო გალობაში კი დღემდეა გავრცელებული ოთხხაზოვანი სისტემა.

რაც შეეხება თვით ნევმებს, გამოსასწორებელი დარჩა კიდევ ერთი ნაკლი — გრძლივობის აღნიშვნა. ხარვეზი გამოასწორა ე. წ. „მენზურალურმა სისტემამ" („მენზურა" — გრძლივობა). ახალმა სისტემამ ნევმებს სრულიად ახალი გრაფიკული გამოსახულება მისცა (ნახ. 6), თითოეუ-



ნახ. 3.




ნახ. 4.



ნახ. 5.

ლი ნიშანი ჩვენს დღევანდელ „მთელ“, „ნახევარ“, „მეოთხედ“ და ა. შ. ნოტებს ნიშნავდა. საბოლოო „გათანამედროვება“ უკვე დროის ამბავი იყო. სანოტო დამწერლობა დღესაც კი გარკვეულ ცვლილებას განიცდის. სხვადასხვა ქვეყნის კომპოზიტორები მიისწრაფიან მუსიკალური ბგერის უფრო ზუსტად და ამავე დროს ლაკონურად გამოსახვისადმი, მაგრამ ეს ცვლილებები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

თანამედროვე სანოტო დამწერლობა წარმოადგენს მსოფლიოს მუსიკოსთა ნამდვილ საერთაშორისო ენას, რომლის ანბანი დღეს თითქმის ყველასათვის გასაგებია.



ხურ. 6.

## ახალი ლექსები

სიმონ შამფრიანი

### ტყეს, მთას...

ტყე-ტყე,
ხევ-ხევ,
მთა-მთა,
ველად,
უდარდელად,
უზრუნველად,
მაჭრით შეზარხოშებული,
ოდნავ ქამარმოშვებული,
ახალუხით ოქროსფერით
დადის, მღერის ოქტომბერი...

### ორ ქვეყნის

— ვინ აწკრიალებს ლარებს
ჩვენი ხეივნის თავზე?
უსპეტაკესი ბაგით
გვესმის ჩურჩული ვისი?
— ო, არ გეგონოს მთვარე,
არცა ნიავი ნაზი,
ეს—შემოდგომის ჩანგის
გრძნეულებაა, იცი?!

### ჭრიჭინა

ველზე თრთვილია, ხევებში—ნისლი,
შორს, ქედზე, თოვლის ციმციმებს ძაფი...
და, რა ხანია, აღარსად ისმის
ჩემი ჭრიჭინას სიმღერა მძაფრი;
მაგრამ მე ახლა მადარდებს სულ სხვა,
ჩუმი წუხილით გული მაქვს სავსე:
ვაითუ, მშიერს მოუსწრო სუსხმა
და... ჭიანჭველას მიადგა კარზე!..

### შემოდგომის ფოთლები

რა თქმა უნდა, — ხარბი არ ვარ,
მაგრამ, როცა ბევრზე-ბევრი
ვნახე გზაზე ძოწი, ქარვა,—
დამავიწყდა ყველაფერი.

ჰოი, რარიგ გავიხარე!..
და ის იყო, დავიხარე,—
მოგრიალდა შმაგი ქარი,
და, ერთბაშად, რაც რამ იყო,—
გაიტაცა, თან წაიღო...

ამოდენა ძოწი, ქარვა
ვის მიართვა, ნეტავ, ქარმა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანატოლი ალექსინი

მხატვარი ჯემალ ლოლუა

გუშინ საღამოს, დერეფანში უსაქმოდ რომ ვიდექი, დედაჩემმა მითხრა:

— უმჯობესია დღიურის წერას შეუდგე. ეს ძალიან კარგი საქმეა. რვეულში ყოველდღე უნდა ჩაიწერო ყველაზე საყურადღებო ამბები. და მერე, ოდესმე, გაიხსენებ, როგორი იყავი პატარაობისას. მხოლოდ იცოდე, სიმართლე სწერე, არაფერი შეთხზა, თორემ დღიურში თუ ტყუილი ჩაწერე, მერე შენ თვითონვე დაგეზარება მისი წაკითხვა.

უჯრიდან სუფთა რვეულს რომ ვიღებდი, ვფიქრობდი: „ვინ იცის, იქნებ სახელგანთქმული კაცი გამოვიდე! ადამიანები მოისურვებენ ჩემი ბავშვობის სხვადასხვა წვრილმანების გაგებას. და აი, სწორედ ეს რვეული დაეხმარება მათ ამაში. მაშინ ჩემს დღიურებს ამ დანჯღრეულ უჯრაში კი არ ჩატოვებენ, — რომელიმე მუზეუმში, მინის ქვეშ მოწიწებით შეინახავენ“.

თავდაპირველად, მთელი ყდა და პირველი ფურცლის არეები ადამიანის თავებით, ცხოველთა სხეულებითა და კუდიანი ხელწერებით მოვქარგე.

პირველი ფრაზა სამჯერ დავწერე და სამჯერვე წავშალე: სახელგანთქმული მწერლები და პოეტები ხომ სწორედ ასე იქცევიან!

მაგრამ არ ვიცოდი, შემდეგ რა დამეწერა. მაშინვე ბიბლიოთეკაში გავიქეცი და რამდენიმე სქელი და თხელი წიგნი შევარჩიე. ეს ცნობილი ადამიანების — მწერლების, მოგზაურებისა და სწავლულების დღიურები იყო... ისინი დღიურებში დაწვრილებით აღწერდნენ არა მარტო საკუთარ, არამედ ახლობელი ნათესავების ცხოვრებასაც. წერდნენ საინტერესოდ და მიმზიდველად: ვინ რა გააკეთა, ვინ რა იფიქრა, ვინ რა თქვა. ისინი ბუნებასაც აღწერდნენ, თავიანთ ფიქრებსაც და განწყობილებებსაც.

მეც ასე მოვიქეცი...

შემდეგ, დიმას დღიურები წავიკითხე, — წიგნის კარადაში რომ დევს. დიმა, ძირითადად, საერთაშორისო მდგომარეობაზე, თავის საზოგადოებრივ საქმიანობაზე და იმ წიგნებზე წერს, რომლებიც მას წაუკითხავს. მე მგონი, ამაზე წერა არც ისე საინტერესო უნდა იყოს. საერთაშორისო მდგომარეობაზე, წლების შემდეგ, ჟურნალ-გაზეთებშიც ხომ შეიძლება წაკითხვა? დღიურში კი, უმჯობესია საკუთარ ცხოვრებაზე სწერო.

შინაურებს, — დედას, მამას და დიმას, — ვთხოვე დამხმარებოდნენ, პერიოდულად შეემოწმებინათ ჩემი ნაწერები. ამის შემდეგ საქმეს შევუდექი: გავაკეთე პირველი ჩანაწერი.

## 11 ნოემბერი

დღეს დილით, ზუსტად 10 საათსა და 20 წუთზე, თავში გენიალური აზრი მომივიდა: ავდგები და ლიულკა მუხინას მერხში ცოცხალ ზღარბს შევუსვამ! ამ აზრამდე ერთბაშად არ მივსულვარ — თავდაპირველად მინდოდა ცოცხალი ანკარა შემესვა, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე.

ეს ამბავი გერმანული ენის გაკვეთილზე მოხდა. ლიულკამ მერხში შეჰყო ხელი. იქ დაფის გასაწმენდი სველი ჩვარი იდო. შეშინებული მუხინა ისე აღრიალდა, რომ მეზობელი კლასიდან ორმა გოგონამ მოირბინა: ვინმეს ბრმა ნაწლავის შეტევა ხომ არ მოუვიდაო?

ამის შემდეგ ანა რუდოლფის ასული მთელი ნახევარი საათი გვიხსნიდა, რომ სიმხდალე ადამიანის ძალიან ცუდი თვისებაა. ბეთჰოვენმა თავის „ეგმონტში“ სწორედ გულადობას და მამაცობას შეასხა ხოტბა, სიმხდალე კი ამ ქვეყნად არავის და არსად არ შეუქია. ყველაფერ ამას ანა რუდოლფის ასული გერმანულად გვიხსნიდა, „სალაპარაკო ენას რომ მივეჩვეოდით“. მაგრამ, რადგან სალაპარაკო ენას ჯერ კიდევ არ ვიყავით შეჩვეულები, მასწავლებელი თითქმის ყველა სიტყვას ოხვრით გვითარგმნიდა.

ნახევარი გაკვეთილი გავიდა, ანა რუდოლფის ასულს კი ჩემი გაძახება არც გახსენებია!

სწორედ მაშინ გავიფიქრე: როგორ აჭყივლდება ლიულკა მუხინა, მერხში იმ რაღაც სველი ჩვრის ნაცვლად ნამდვილი, ცოცხალი ანკარა რომ დახვდება! თვითონვე წარმოიდგინეთ: მშვიდად ზის ლიულკა და მასწავლებელს უსმენს. უცებ მერხიდან თავს გამოყოფს გველი. ლიულკას გველი ეგონება, თორემ სინამდვილეში ეს იქნება ვიტია ძეკონსკის ცოცხალი კუთხიდან მოყვანილი ჩვეულებრივი ანკარა. მაშინ ანა რუდოლფის ასულს მთელი გაკვეთილი გულადობაზე ლექციის წასაკითხად დასჭირდება. ვინ იცის. იქნებ შესვენებაზეც არ გაგვიშვას.

მაგრამ მერე გადავიფიქრე: ანკარა მერხში დიდი შესვენების დროს რომ შევსვა, როცა ბავშვები საკლასო ოთახიდან გადიან, იქ ოც წუთს ვერ გაძლებს, გამოცოცდება და ყველაფერს ჩამიშლის. არა, ჯობს ცოცხალი ზღარბი შევუსვა: სიბნელეში ზღარბს ჩაეძინება. როცა ზღარბს სძინავს, მისი ეკლები მაშინაც კი მშვენივრად იჩხვლიტებიან!

გადაწყდა: დღეს გერმანულს არ ვისწავლი. ხვალ გაკვეთილის ნაცვლად ნამდვილი ცირკი გვექნება!

## 12 ნოემბერი

დღეს, დიდი შესვენება რომ დაიწყო, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მოფიქრებული მქონდა. ლიულკას მერხში შევუსვი ცოცხალი ზღარბი, რომელსაც დიმამ ძალიან უცნაური სახელი — ნიჰილისტი შეარქვა. მე დამაინტერესა, ვინ იყვნენ ეს ნიჰილისტები და რატომ დაარქვა დიმამ ეს სახელი ზღარბს, რომელიც შარშან ტყეში ვიპოვნე. „იმიტომ, რომ ის არავის არაფრად არ აგდებს, ყველას ჩხვლეტს“, — მიპასუხა დიმამ. დედაჩემი ზღარბს „ნომერ ორ სევას“ ეძახდა, რადგან, მისი აზრით, ზოგჯერ მეც ეკლიანი ვარ და მასავით ვიჩხვლიტები. მე და ვიტია კი, უბრალოდ, ბორკას ვეძახდით. ერთი სიტყვით, ჩვენს ზღარბს ერთის ნაცვლად სამი სახელი ერქვა, მაგრამ მიუხედავად არც ერთი სახელის დაძახებაზე არ მოგიხედავდა.

მაშ ასე, ჩემი ეკლიანი ბორკა მერხში შევსვი. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, მერხში კი არა — პირდაპირ ლიულკას მოზრდილ ჩანთაში შევაძვრინე და ჩანთა პრიალა, ვერცხლისფერი გასაღებით დავკეტე.

ბევრიც რომ ეცადოს, ჩანთიდან მაინც ვერ გამოცოცდება!

გახარებული, კმაყოფილი გავედი დიდ შესვენებაზე.

მთელი ოცი წუთი სართულიდან სართულზე დავრბოდი. პირველ-

კლასელებსაც კი ვესტუმრე. ერთი სიტყვით, ვცდილობდი გული გადამეყოლებინა, რომ დიდი შესვენება ჩქარა და შეუმჩნევლად გასულიყო: სულმოუთქმელად ველოდი, რა მოხდებოდა გაკვეთილზე.

მოხდა კი სავსებით მოულოდნელი რამ.

გაკვეთილი დაიწყო. ბავშვები გაკვეთილს ყვებოდნენ. მერე ანა რუდოლფის ასული რაღაცაზე ლაპარაკობდა, მე კი არაფერი მესმოდა, ლიულკა მუხინას ხელებს გარდა ვერაფერს ვერ ვხედავდი. ისინი კი — ეს პატარა და თეთრზე-თეთრი ხელები — ჯერ მერხის სახურავზე ეწყო, თითქოს „დიდი შესვენების“ შემდეგ ისვენებენო, მერე თმების შესწორებას შეუდგნენ, შემდეგ კი... შემდეგ მერხში შეცოცდნენ. სუნთქვა შემეკრა. „რა მოხდება ახლა?“ — ვფიქრობდი და ლიულკას ხელებს მივჩერებოდი. აი, ლიულკამ ხელები მერხში შეჰყო და ჩანთა გამოიღო. აი ახლა... ლიულკა წამოხტება და მთელი კლასის, მთელი სკოლის, მთელი ქუჩის გასაგონად აღრიალდება! ბავშვებიც წამოიშლებიან, ლიულკას მისცვივდებიან და, გატრუნულ ბორკას რომ დაინახავენ, დიდხანს იცინებენ გულიანად. აი, ახლა, ახლა... მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერიც არ მოხდა. ლიულკამ ჩანთიდან მშვიდად ამოიღო ქათქათა, თეთრ ქაღალდში გახვეული სახელმძღვანელო, გადაფურცლა და პწკარებს თითი გააყოლა...

საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. ეს როგორ, ბორკა ხომ ჩანთაში ჩავსვი! მაგრამ, ეს რა ხდება? თითქოს უფრო უნდა გამაკვირვოსო, ლიულკამ ხელმეორედ ჩაჰყო ხელი ჩანთაში და რვეული ამოიღო.

ეს, მართლაც, სასწაული იყო!

ანა რუდოლფის ასულმა გადმომხედა, გაუკვირდა — თვალებდაჭყეტილი რომ ვიჯექი და შენიშვნა მომცა:

— კოტლოვ. სახელმძღვანელო გადაფურცლე და თვალი ადევნე!

წიგნის ამოსაღებად ჩანთაში ჩავყავი ხელი და... საკლასო ოთახში საშინელი ყვირილი გაისმა. მაგრამ ლიულკა კი არა, მე ვყვიროდი! სიმწრისაგან ფეხზე წამოვხტი და ნატკენ თითს სული შევუბერე. ბავშვები ჩემსკენ მობრუნდნენ. ანა რუდოლფის ასული სკამიდან წამოხტა.

— რა მოგივიდა, კოტლოვ?

— აქ ისინი... როგორ გითხრათ... რომლებიც იჩხვლიტებიან... ლურსმნებია! — ავლუღლუღდი მე და თან ნატკენ თითებს ვიწუწნიდი.

ლიულკა მუხინა თანაგრძნობის ნიშნად თავს იქნევდა.

ბავშვების გაუთავებელი წრიალისათვის ბოლო რომ მოეღო, ანა რუდოლფის ასულმა დაფასთან გამიძახა: იქ ყველანი კარგად დამინახავდნენ.

— მე ხომ... თითები... მტკივა... — წავილუღლუღე საცოდავად.

— იმედია, თითებით არ აპირებ პასუხის გაცემას, — მკაცრად მითხრა ანა რუდოლფის ასულმა. — თავიც და ენაც დაზიანებული ხომ არ გაქვს?

დაფისაკენ უხალისოდ წავლასლასდი. მაგრამ დაფასთან გამახებას არც ისე დავუნაღვლიანებივარ, — თავში მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა: „როგორ მოხვდა ბორკა ნიჰილისტი ჩემს მერხში? ნუთუ, ძაღლის არ იყოს, ისიც ადამიანის ერთგული მეგობარია და ყოველთვის უბრუნდება პატრონს?“

ჰო, კარგი მეგობრობაა! ყველაფერი არივ-დარია! მართალი ყოფილა ჩვენი დიმა, ნიჰილისტი რომ შეარქვა! მართლაც რომ ნიჰილისტია!

### 18 ნოემბერი

ვიტიასთან ერთად ქუჩაში სიარული შეუძლებელია, ყოველ წუთს ფეთიანივით წამოიძახებს ხოლმე: „აი, თანამგზავრი მიჰქრის! თანამგზავრი მიფრინავს!“.. ზოგჯერ ისიც კი ეჩვენება რომ ერთბაშად ორ თანამგზავრს მოჰკრა თვალი და ირწმუნება, ერთმა ზედ ჩემს თვალწინ გაუსწრო მეორესო. ჩვენს გარშემო მაშინვე გამვლელები იკრიბებიან და ვიტიას თითის მიმართულებით ზეცას შესცქერიან, მერე ვიღაც გაზეთს გადაშლის, სადაც თეთრით შავზე სწერია, რომ თანამგზავრი ახლა სადღაც, პორტ-საიდის ან ადის-აბებას თავზე მიფრინავს, — და გულდაწყვეტილი გამვლელებიც უკმაყოფილო ბუზღუნით დაიშლებიან ხოლმე.

მე ხელოვნურ თანამგზავრზე სერიოზული და სავსებით მეცნიერული დაკვირვების ჩატარება განვიზრახე და, თუმცა ზოგიერთებმა თანამგზავრები, როგორც ამბობენ, შეუიარაღებელი თვალით დაინახეს, მაინც გადავწყვიტე, რომ ჩემი და ვიტიას თვალები რაიმე დამატებითი საშუალებებით შემეიარაღებინა.

მაგრამ, რით?

გადავქექეთ ნაფტალინით აქოთებული ყველა ძველი სკივრი და ჩემოდანი, მაგრამ ჩვენს მშობლებს საამისო არაფერი, თვით ძველთა-ძველი ჭოგრიტიც კი, არ აღმოაჩნდათ. რა უნდა გვექნა? ჭოგრიტი ახლა ჩვენთვის ჰაერივით აუცილებელი იყო! საქმე იმაშია, რომ რადიომ გადმოსცა, ხვალ დილით, თანამგზავრები 10 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის ცაზე გადაიფრენენო. ასეთი ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვება როგორ იქნებოდა. მაგრამ, რა ვიღონოთ? მე გულზე დარდი შემომაწვა.

საღამოს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა და ვიტიამ ქვედა სართულიდან სულმოუთქმელად მომახარა:

— ვაშაა! ბებიაჩემის ნაქონი ძველისძველი ჭოგრიტი ვიპოვნე! მარცხენა ლინზა არ მუშაობს... ესე იგი...

— რა ესე იგი?

— მხოლოდ ამცირებს.

— ეს სულაც არ გვჭირდება, თანამგზავრი ისედაც პატარაა!

— სამაგიეროდ, მეორე ადიდებს კიდეც! მერე, იცი, როგორ ადიდებს!

— მალე ამოიტანე!

ზუსტად სამი წუთის შემდეგ მე და ვიტია სააბაზანო ოთახში ვიჯექით და ჭოგრიტს ვათვალიერებდით. ძველის-ძველი, მაგრამ მაინც ლამაზი ჭოგრიტი იყო;

მარცხენა საჭვრეტში გავხედე, — ჩვენი აბაზანა თეთრი სასაპნის სახურავივით დაპატარავდა. გავხედე მეორე საჭვრეტში, აბაზანა დევის ქვაბივით გაიზარდა. შევხედე ტაბურეტზე მიძინებულ აგურისფერ კატას — ის ულვაშებიან, მრისხანე ვეფხვს დაემგვანა.

— ბებიაჩემი ამ ჭოგრიტს ადრე თურმე თეატრში ხმარობდა, — მეოცნების ხმით წარმოსთქვა ვიტიამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



— დიდი რამე, თეატრში თუ დადიოდა, ალბათ ათასგვარ სისულელეს უყურებდა იქ! ჩვენ კი თანამგზავრს დავინახავთ, გესმის, თანამგზავრს. ბებიაშენი კმაყოფილი უნდა იყოს, მის ჭოგრიტს ასეთი პატივი რომ ერგო წილად.

გადაწყდა: თანამგზავრებზე მეცნიერული დაკვირვების ჩასატარებლად ხვალ, დილაადრიანად, უნდა გავიპაროთ სახლიდან!

14 ნოემბერი

რაღაც ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მთელი ღამე არ მეძინა. მაგრამ, როგორც ჩანს, ცოტა მაინც მძინებია, რადგან რაღაც-რაღაცები დამესიზმრა. სიზმარში თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდები ვნახე. მე და ვიტია ვითომ კოსმონავტები ვიყავით და ერთ-ერთ ხომალდში ვიჯექით. მთვარე ეშმაკურად გვიღიმოდა, თითქოს გვალიზიანებდა: „აბა, თუ ბიჭები ხართ, მომწვდით, ჩემამდე მოაღწიეთო“. მე და ვიტია მართლაც გავემართეთ მთვარისაკენ და, მივაღწევდით კიდეც, რომ მაღვიძარა საათს არ შეეშალა ხელი.

საბნიდან ხელი გამოვყავი, აბეზარას წკრიალი რომ შემეჩერებინა. მაგრამ საათი სკამზე აღარ იდგა. საოცარია: წუხელ, დაწოლის წინ, საათი სწორედ ამ სკამზე დავდგი! ახლა კი წიგნების კარადიდან რეკავს! ისევ სასწაული!

სამაგიეროდ, ჩემი ხელი რაღაც უფრო დიდს და მოგრძოს წააწყდა: იმწამსვე მაგიდის ნათურა ავანთე. დივანზე დიმა აწრიალდა და აბუზღუნდა:

— უჰ, შე... სიბნელეში ვერ ჩაიცვამდი?!

ჩაცმა რა შუაშია... ვერაფრით ვერ გავარჩიე საგანი, რომელიც ჩემი საწოლის გვერდით იდო. თურმე ნამდვილი საველე ჭოგრიტი იყო! დიახ, დიახ, ჭოგრიტი! სწორედ ისეთი, ცნობილი მთავარსარდლები რომ ხმარობდნენ დიდი ომების დროს! გეფიცებით, თავი ისევ სიზმარში მეგონა. დივანთან მივირბინე და დიმა შევანჯღრიე:

— დიმა, ხომ არა მძინავს? სიზმარში ხომ არა ვარ?

— ხვალიდან დერეფანში მოგიწევს ძილი! სულ აიშვი თავი!..

არა, ეს სიზმარი არ ყოფილა. ჩემთვის ასეთი რამის თქმა მხოლოდ ჩემს ძმას შეეძლო, და ისიც — მხოლოდ ცხადში!

მაგრამ, საველე ჭოგრიტი საიდან გაჩნდა? ფრთხილად გადავუსვი ხელი, მკერდზე მივიკარი, შემდეგ საბვრეტებიდან ჩემს ძმას გავხედე. ჰოი, საოცრებავ! დიმა, თავის დივანთან ერთად, სადღაც შორს, ძალიან შორს, თითქმის ქვეყნის დასასრულამდე გაცურდა. შევაბრუნე თუ არა, ცხვირწინ წამომეზარდა დიმას უშველებელი, მძვინვარე სახე (უსათვალოდ იყო და იმიტომ).

— ახლავე ჩააქრე სინათლე!

ტანზე დერეფანში ჩავიცვი.

ოთახიდან მამა გამოვიდა, ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა.

— სევა, გუშინ საღამოს ჭოგრიტი გამოგიგზავნეს... სკამზე დაგიდე, საწოლის გვერდით. თანაც მთხოვეს, აი, ეს ბარათი გადმომეცა შენთვის.

—ვინ გამოგზავნა? ვინ გთხოვა?

— არ ვიცი. რომელიღაც მეზობელმა გაუღო კარი, არც კი დამინახავს... მე მგონი, მამაკაცი იყო.

— „მე მგონი“? როგორ შეიძლებოდა ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება!

ბარათი მანქანაზე იყო დაბეჭდილი: „ამ ჭოგრიტს თანამგზავრზე დასაკვირვებლად გიგზავნით. ხვალ, გაკვეთილების დამთავრებისთანავე, მერხში დასტოვე და მაშინვე გადი საკლასო ოთახიდან. იცოდე, თვალთვალი არ გაბედო, თორემ ცუდი დღე დაგადგება!“

ბარათის ბოლოში სამი დიდი ასო იყო მიწერილი: „შუძ“.

ეს რა ხდება? ისევ სიზმარში ხომ არა ვარ? არა, სიზმარი არ უნდა იყოს, მაგრამ ეს ჭოგრიტი და ბარათი ვინ გამომიგზავნა?! ან ეს „შუძ“ რას ნიშნავს?! ჩემსა და ვიტიას გარდა ხომ არავინ არ იცოდა. თანამგზავრებზე დაკვირვებას რომ ვაპირებდით?!

მეტი ფიქრის დრო არ იყო — მეორე თანამგზავრი სულ მალე გადაიფრენდა მოსკოვის თავზე!

ადრიანი დილა იდგა. თუმცა ჯერ ისევ ღამე იყო. ბნელოდა და ციოდა. ვიტია იბუზებოდა და ჩვეულებისამებრ წუწუნებდა:

— რა თქმა უნდა, თავს კარგად გრძნობ. თბილი პალტო გაცვვ...ია... მე კი მარტო ქქურთუკკი... შენ რა გენაღვლება... ყყურებიანი ქუდი გახურავს... მმე კკი... პალტოს ქვეშ რას მალავ?

— საიდუმლოა!

— მმაჩვენე რა... მმაჩვენნე...

— ნუ წკმუტუნებ! მაინც არ გაჩვენებ! აი, ხეივანში მივიდეთ და...

— რახან ასეა, ბებიაჩემის ჭოგრიტს არ გათხოვებ!

— ხა-ხა-ხა! — პირდაპირ სახეში მივახალე ნემსიყლაპიას. — ძაანაც არა მჭირდება შენი თეატრალური ძველმანი! გირჩევნია მუზეუმს ჩააბარო, მადლობას მაინც გეტყვიან!

პალტოდან საველე ჭოგრიტი გამოვაძვრინე. ყინავდა, მაგრამ ვიტიას შუბლზე ოფლმა დაასხა.

— ჭოგრიტი? საიდან?...

— საიდუმლოა!... თვითონაც არ ვიცი...

— როგორ თუ არ იცი?

ამ საუბარში ხეივნამდე მივედით. დილის ექვსი საათი იყო, მაგრამ „თანამგზავრის გულშემატკივრებს“ უკვე ყველა სახურავი და შემაღლებული ადგილი დაეკავებინათ.

ჩვენს გვერდით ერთი პატარა ტანის მოხუცი იდგა. ეტყობოდა,

ძალიან სციოდა, სასაცილოდ აბუზულიყო. პატარა კი იყო, მაგრამ სადღაც თავისსიგრძე ჭოგრიტი ეშოვნა, მაღალ სამფეხაზე დაემაგრებინა, ცას აკვირდებოდა.

— ცოტა წყნარად, ახალგაზრდებო! — წაიჩურჩულა მოხუცმა. — ჩვენ უდიდესი მოვლენის მოწმენი ვხდებით!

სწორედ ამ დროს მთელ ხეივანს მოეფინა ძახილი: „მოფრინავს. მოფრინავს!..“ ვიტიაც შეშლილივით აყვირდა:

— მოფრი-ნნავს!....

ჭოგრიტი ცას მივუშვირე. უეცრად, გული მძლავრად ამიჩქროლდა, უნებურად მკერდზე ვიტაცე ხელი: ნათლად გავარჩიე, ფერმკრთალ ცაზე რა სიამაყით მიცურავდა პატარა წითელი ვარსკვლავი, ჩვენებური წითელი ვარსკვლავი!

— ვაშაა! — თავი ვერ შევიკავე და ვიტიასი არ იყოს, მთელი ხეივნის გასაგონად ავღრიალდი.

სახლში რომ ვბრუნდებოდით, მე და ვიტიამ მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ მთვარეზე, მარსზე, ოდესმე უფრო შორსაც, გავფრენილიყავით. ვიცოდით, რომ ეს ასეც იქნებოდა! ჩვენ ამაში მტკიცედ ვიყავით დარწმუნებული!

მაგრამ... საიდან გაჩნდა საველე ჭოგრიტი, ჯერ კიდევ არ ვიცოდით. არა, საიდან გაჩნდა, ბა?..

## 17 ნოემბერი

ზაფხულში ფეხბურთს ვთამაშობთ, ზამთარში — ჰოკეის. მაგრამ შემოდგომაზე რა უნდა ვითამაშოთ? ქუჩაში ყველგან ჭყაპი და ტალახი დგას, კაცს თამაში კი არა, უბრალოდ გავლაც კი შეეზარება. ჩვენი ბავშვები რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს — ალექსანდრე ძუგაევს ჩააცივდნენ:

— მოიფიქრე რამე! მოიფიქრე! ტყუილად ხომ არ აგირჩიეთ!

ალექსანდრე შუბლს იჭმუხნიდა, კეფას იფხანდა, ხელში მედიდურად ათამაშებდა მუდმივ კალამს, მაგრამ ჭკვიანური მაინც ვერაფერი მოიფიქრა. მაშინ მან რაზმის საბჭო და აქტივი მოიწვია.

— პიონერი ყველა ბავშვისათვის მაგალითი უნდა იყოს, — თქვა ალექსანდრემ. — ის ყოველთვის კარგ, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას უნდა ეწეოდეს!

— ლითონის ჯართი შევაგროვოთ! — დაიძახეს უკნიდან.

— ჯართს ხომ ყოველთვის ვაგროვებდით, ვაგროვებთ და მომავალშიც შევაგროვებთ, — თქვა ალექსანდრემ, მერე რვეულში ჩაიხედა და დასძინა: —ჩვენს მიერ შეგროვებული ლითონის ჯართით ათი ახალი „ვოლგის“ გაკეთება შეიძლებოდა!

— ვიცით, ვიცით!... იქნებ კიდევ მოიფიქროთ რამე!...

— მოდი, ქაღალდის მაკულატურა შევაგროვოთ! — წამოიძახა თავისი მერხიდან ლიულკა მუხინამ.

— როგორც იცი, ლიულკა, ჩვენ ამასაც ვაკეთებთ! — რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ისევ რვეულში ჩაიხედა და განაგრძო: — ჩვენს მიერ შეგროვებული ქაღალდის მაკულატურიდან შეიძლებოდა ოცი ათასი ახალი რვეულის დამზადება. ჩვენ მომავალში ამ მეტად მნიშვნელოვან საქმიანობასაც განვაგრძობთ!..

— განვაგრობთ! რა თქმა უნდა, განვაგრძობთ! კიდევ მოვიფიქროთ რამე!.. რაიმე. უფრო საინტერესო და ახალი!... რასაც აქამდე არ ვაკეთებდით!...

— იქნებ სევა კოტლოვი დაგვეხმაროს? — თქვა ალექსანდრე ძუგაევმა. — ის ხომ დიდი გამომგონებელია!

ყველა ჩემსკენ მობრუნდა. მიყურებდნენ და ელოდნენ, რომ მე აუცილებლად მოვიფიქრებდი რაღაც საინტერესოსა და ახალს. ალბათ სწორედ ამიტომ დამიბნელდა გონება.

ისე დავიშალენით რომ ვერაფერი ვერ მოვიფიქრეთ...

## 19 ნოემბერი

ამ ბოლო დროს ისე შევეჩვიე სასწაულებს, რომ ახლა მათ ყურადღებას არც კი ვაქცევ. თითქმის არ გამკვირვებია, დღეს მერხში მანქანაზე გადაბეჭდილი ბარათი რომ დამხვდა: „ეჰ, თქვე მართლა ვაი-გამომგონებლებო! ნუთუ დაგავიწყდათ, რომ თითქმის ყოველ სახლში არიან ადამიანები, რომლებიც თქვენს დახმარებას საჭიროებენ: პენსიონერები, ომის ინვალიდები, მარტოხელა მოხუცები... ამას გარდა, ნუთუ მართლა ვერ შეამჩნიეთ, პირდაპირ, თქვენი კლასის ფანჯრების წინ, ამოდენა სახლი რომ აშენდა? ხომ არ დაბრმავდით, ბა? სახლი ჯერ ისევ კეთილმოუწყობელია: საჭიროა ნაგვის გატანა, ფანჯრების გაწმენდა და ასე შემდეგ. განა ეს ცუდი საქმეა? თავი გაანძრიეთ, ბავშვებო!“

ბარათის ბოლოში ისევ ის სამი ასო იყო მიწერილი: „შუძ“.

მაშინვე ალექსანდრე ძუგაევთან გავიქეცი, აქტივისა და რაზმის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა ვთხოვე.

— აკი გუშინწინ შევიკრიბეთ? — ჩაიბუზღუნა რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ. — ამ ბიუროკრატიული სხდომების ჩატარებას ხომ არ გადავყვებით!

რას იზამ, უყვარს ჩვენს თავმჯდომარეს ბრძნული გამოთქმები!

— რა შუაშია ბიუროკრატიზმი? ეს სულაც არ იქნება ბიუროკრატული ფუსფუსი. პირიქით — საზოგადოებისათვის სასარგებლო გენიალური საქმეები!..

რაზმის საბჭოს ზუსტად, სიტყვა-სიტყვით მოვახსენე ყველაფერი, რაც კი საიდუმლო ბარათში ეწერა. თუმცა, თვით ბარათზე, რატომღაც, არაფერი მითქვამს. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს! ყველას ეგონა, რომ ყველაფერი ეს ჩემი მოფიქრებული იყო. ბავშვები მაქებდნენ და მადიდებდნენ. „უდიდეს გამომგონებელს“, „ნათელ გონებას“ და „კლასის სიამაყესაც“ კი მეძახდნენ!

მეც არ ვიცი, რა მომივიდა. რატომღაც დავირცხვინე, თავი დავხარე და ნაჩქარევად შევაგროვე წიგნები. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოიფიქრა. რაც მთავარია, კარგი საქმეა. მორჩა და გათავდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ხომ ესაა! ისე კი, ვინ მოიფიქრა, კაცმა რომ თქვას, მეც არ ვიცი. მართლაცდა, ვინ მიგზავნის ამ ბარათებს? ვინ არის ეს „შუძ“? ვინ?

## 30 ნოემბერი

სტეფანე პეტრეს ძე ჩვენს სადარბაზო შესასვლელში ცხოვრობდა, მესამე სართულზე. მაგრამ მე და ვიტია იშვიათად ვხედავდით მას. სტეფანე პეტრეს ძეს თურმე თვალები სტკიოდა, ძალიან ცუდად ხედავდა და ამიტომ ძირს იშვიათად ჩამოდიოდა. უფრო ხშირად ოთახში ან აივანზე იჯდა და უსიცოცხლო თვალებით მზეს შეჰყურებდა.

ერთი სიტყვით, სტეფანე პეტრეს ძეს იშვიათად ვხედავდით. მას კი თურმე ისევ ისე პატარები ვახსოვდით, როცა არც სკოლაში დავდიოდით და ფეხბურთსაც არ ვთამაშობდით, — მაშინ რაღაცნაირი თეთრი ეტლებით ხეივანში დასეირნობდით და ნამდვილ პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდით, მთელი დღე გეძინათ ან მთელი დღე ჭამდით. მაგრამ მაინც კარგი ბიჭები ხართო, — გვითხრა ძია პეტრემ. დედაჩემმა ეს რომ გაიგო, ამოიოხრა:

— კიდევ კარგი, არ იცის, რა შვილებიცა ხართ, — და დასძინა, რომ ჩვენი პენსიონერი დედამიწის ზურგზე ყველაზე უბედური ადამიანი იქნება, თუ საზოგადოებრიობა, ან „რაისობესი“ დაუყოვნებლივ არ იხსნიან მას ჩვენი შეფობისაგან. სწორედ ასე თქვა: „იხსნიან“!

— არაფერიც! არაფერიც! — აღვშფოთდი მე. — აი, ნახავ, ყველაფერი საათივით აეწყობა: სადილს დავუმზადებთ, ბაზარში საყიდლებისათვის ვივლით, ოთახს დავულაგებთ, ახალ გაზეთებსაც წავუკითხავთ!

დედაჩემმა თქვა, როგორც კი ერთხელ სადილს გააკეთებთ, სულ ცოტა, სამი დამლაგებლის გამოძახება იქნება საჭირო, რათა ქვაბები გახეხონ, იატაკი მორეცხონ და გაზქურა გაწმინდონო. ერთი სიტყვით, დედაჩემს, რატომღაც, არა სჯეროდა, რომ ჩვენ საოჯახო საქმეებშიც ვივარგებდით.

და სულ ტყუილად! ყველაფერი ერთბაშად მოვაგვარე. ჯერ დავალებები გავანაწილე: ვიტია დაამზადებს სადილს, ივლის საყიდლებისათვის და ოთახს დაალაგებს ხოლმე, მე კი სტეფანე პეტრეს ძეს ახალ წიგნებს და გაზეთებს წავუკითხავ.

ვიტია, რა თქმა უნდა, არ დამეთანხმა და აწუწუნდა:

— რრა თქმა უნნდა... თავისთვის ყველაზე ადვილი რამე აირჩია...

— ყველაზე ადვილი კი არა, ყველაზე საპასუხისმგებლო! მე საშეფო მუშაობის პოლიტიკური ნაწილი ავირჩიე, გესმის?

სულ მალე გამოირკვა, რომ სადილის დამზადება სულაც არ ყოფილა საჭირო — ამას ძია სტეფანეს მეზობელი ქალი აკეთებდა. ესეიგი, ვიტიას მაღაზიებში სირბილი და ოთახის დალაგებაღა ევალებოდა. ის ამ მოვალეობას დიდი სიამოვნებით ასრულებდა. მოკლე ხანში ხორცის შერჩევაც კი ისწავლა: შეუცდომლად გეტყოდათ, რომელი ნაჭერი იყო საკატლეტე, რომელი — წვნიანისათვის.

ძია სტეფანე ყოველ დილით ერთბაშად ოთხ გაზეთს ღებულობდა. მე ხმამაღლა ვუკითხავდი. თავდაპირველად ძალიან ვღელავდი და გამოთქმით ვკითხულობდი, თითქოს რაზმეულის შეკრებაზე ვიყავი. მაგრამ მან მირჩია, ისე უბრალოდ და წყნარად წამეკითხა, როგორც ვლაპარაკობ ხოლმე.

მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ეს არ არის. მთავარია ის, რომ ამდენი კითხვის შემდეგ პოლიტიკურად ძალიან განათლებული გავხდი. ჩვენს კლასში ყველაზე კარგად მე ვიცოდი, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს იქით.

ერთხელ ლიულკა მუხინამ თქვა, თითქოს მე ყველაფერი ავურიე და, „ფიგარო“ გაზეთის სახელწოდება კი არა, რომელიღაც ოპერის ერთ-ერთი დალაქის სახელიაო. მას ეს ოპერა დიდი თეატრის ფილიალში უნახავს. ბავშვებს სასაცილოდ არ ეყოთ ლიულკას ნათქვამი. განაწყენებული მუხინა კინაღამ აბღავლდა. თუმცა, კაცმა

რომ თქვას, აქ მოულოდნელი არაფერია: როგორც ცნობილია, გოგონები გაზეთებს არ კითხულობენ და პოლიტიკაშიც სუსტად ერკვევიან.

ძია სტეფანეს წიგნებსაც ვუკითხავდი, მაგრამ ამ საკითხში მასთან, როგორც გაზეთებში სწერენ ხოლმე, უმნიშვნელო უთანხმოება მქონდა. მე ყველაზე მეტად ომზე დაწერილი წიგნები მიყვარს, იგი კი ასეთ წიგნებს ვერ იტანს. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ის სამამულო და ფინეთის ომების მონაწილეა, 1945 წელს კენიგსბერგთან მძიმე კონტუზია მიუღია და მას შემდეგ თვალში ვერა ხედავს. ძია სტეფანეს ორი ვაჟიშვილიც სამამულო ომში დაეღუპა. წითელ, პრიალა ჩარჩოებში ჩასმული მათი სურათები კედელზე ეკიდა, საწოლებს ზემოთ. როცა ვიტია ოთახის დალაგებას იწყებდა, ძია სტეფანე ყოველთვის თხოვდა, ხელი არ ეხლო ამ ჩარჩოებისათვის, რომ შემთხვევით მინები არ ჩაემსხვრია, არ გაეჩხაპნა, არ დაეზიანებინა. იგი თვითონ უვლიდა ამ სურათებს.

ძია სტეფანეს თმაში ჭაღარა შეპარვია, სახეზე ნაყვავილარი ეტყობა... ზოგჯერ, როცა გაზეთს ან წიგნს ვუკითხავ, ის უცებ რაღაცაზე ჩაფიქრდება და ჭაღარა თავს დაბლა დახრის... ამ დროს კითხვა რომ შევწყვიტო, ოთახიდან რომ გავიდე კიდეც — სულერთია, ის მაინც ვერ გაიგებს. ფიქრებში ისეა გართული, გამომშვიდობებაც კი ავიწყდება ხოლმე. ნეტავ რაზე ფიქრობს? რას იგონებს?

ზოგჯერ ძალიან მხიარულადაა და ტკბილეულით გვიმასპინძლდება. უხერხულიც კია: ვიტია ჩაისთვის რაღაც რაღაცებს იყიდის, მერე კი ისევ ჩვენ ვსანსლავთ ყველაფერს. უცნაურია, მაგრამ იგი ამით ძალიან კმაყოფილია ხოლმე! ასეთ წუთებში ის თავის ბიჭებს გვადარებს — აი, იმათ, რომლებიც ახლა კედელზე ჩამოკიდებული ელვარე ჩარჩოებიდან გვიცქერიან:

— ჩემებს ტკბილეული არ უყვარდათ. მჟავე კომბოსტო და კიტრი კი... რამდენიც არ უნდა მიგეცა, უარს არ იტყოდნენ... გაზეთებს და წიგნებს ჩემებიც ხშირად მიკითხავდნენ ხმამაღლა. მაშინ კარგად ვხედავდი, ისინი კი მაინც მიკითხავდნენ. ზოგჯერ ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ წიგნს — ჩემი რიგიაო.

...დიახ, ჩვენ შეფობას ვუწევთ სტეფანე პეტრეს ძეს. ამ საქმემ ისე გამიტაცა, რომ მთელი თორმეტი დღე დღიური არ დამიწერია. დღეს კი აი, ყველაფერი ერთბაშად ამოვალაგე.

არა, ყველაფერი არ მითქვამს. სულ დამავიწყდა საიდუმლოებით მოცული ერთი საინტერესო ამბავი, სწორედ ძია სტეფანეს რომ ეხება.

ერთხელ, საფოსტო ყუთიდან გაზეთების ამოსაღებად მესამე სართულზე ჩავედი. ოთახში რომ დავბრუნდი, შემთხვევით თვალი მოვკარი კედელზე ჩამოკიდებულ საველე ჭოგრიტს. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ეს სწორედ ის საველე ჭოგრიტი იყო, რომელიც იმ ვიღაც „შუძ“-ის ბრძანების თანახმად იმ დღეს მერხში დავტოვე. მაშინ ზუსტად შევასრულე ბრძანება: ჭოგრიტი მერხში დავდე და ოთახიდან ისე გავედი, რომ თვალთვალი არც კი დამიწყია — სად გაქრებოდა ჭოგრიტი, ვინ მოვიდოდა მის წასაღებად და ძალიან ცუდიც ვქენი, რომ არ ვუთვალთვალე! ახლა არც თავის მტვრევა დამჭირდებოდა და ამ სულელურ საგონებელშიც არ ჩავვარდებოდი. ეშმაკმა დალახვროს, მართლაც უცნაურია, ასე ზუსტად და წინასწარ ვინ იგებს ჩვენს გეგმებს, ვინ ერევა ჩვენს საქმეში?

საოცარია, საველე ჭოგრიტი მერხში დავტოვე, ის კი უცებ აქ, ძია სტეფანესთან აღმოჩნდა, კედელზე!

— ეს სწორედ ის ჭოგრიტია, ხომ? — ვკითხე მშვიდად.

— რომელი „სწორედ ის“?

— აი, ის, ჩემი საწოლის გვერდით...

— შენი საწოლის გვერდით? შენ რაღაცას ურევ, სევა. ეს ჭოგრიტი ჩემი მებრძოლი თანამგზავრია! მან ჩემთან ერთად მრავალი ფრონტი მოიარა და იმდენი რამ ნახა, რომ მიკვირს კიდეც, მისი ლინზები ამდენი საშინელებისაგან როგორ არ დაბრმავდნენ..

— მაშ... ღამით... თქვენგან ჭოგრიტი არავის უთხოვნია? ის ხომ დღეს გამოჩნდა. გუშინ კედელზე არც კი ეკიდა.

— ერთმა მეზობელმა მთხოვა, ასტრონომიითაა გატაცებული.

— ა, მეზობელმა გთხოვათ?

არა, მისი მეზობელი, რა თქმა უნდა, ჭოგრიტს ჩვენს ოთახში ვერ შემოგზავნიდა. იქნებ სულაც არ არის ის ჭოგრიტი, რომლითაც მე და ვიტია თანამგზავრებს ვაკვირდებოდით? იქნებ იმ ჭოგრიტის ორეულია და მეტი არაფერი? დედამიწაზე ალბათ უამრავი ერთნაირი ჭოგრიტია. რა თქმა უნდა— იქნება!..

მაინც, რაღაც უცნაური ამბავია. ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი საოცარი რამ მემართება. ეშმაკმა დალახვროს, რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ვერაფერი გამიგია. დარწმუნებული ვარ, რომ სხვაც ვერაფერს გაიგებდა. იქნებ ჩემს უფროს ძმას — დიმას ვუამბო ყველაფერი? არა, არ შეიძლება: სასაცილოდ ამიგდებს, არ დამიჯერებს. უმჯობესია შესამოწმებლად მივცე ჩემი თხზულება — „რაზე ვოცნებობ?“

ძალიან გამიძნელდა ამ თხზულების დაწერა. მე ხომ ბევრ რამეზე ვოცნებობ: მთვარეზე გაფრენაზე, ახალ სარბენ „ნორვეჟკებზე“ და საფოსტო მარკების ალბომზე, იმაზეც, რომ დიმამ თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც მიიღოს ორიანი, ან სამიანი მინუსით, რათა ის ჩემთვის აღარ იყოს „ცოცხალი მაგალითი“, როგორც დედა ამბობს ხოლმე. ვოცნებობ იმაზე, რომ ოდესმე, თუნდაც ათი წლის შემდეგ (თუმცა მაშინ საშუალო სკოლის მოსწავლე აღარ ვიქნები) მაინც ჩამრიცხონ სკოლის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში; ვოცნებობ იმაზეც, რომ გამოვიცნო ყველა ის საიდუმლოება თუ სასწაული, რაც ამ ბოლო დროს ჩემს გარშემო ხდება.

## 2 დეკემბერი

ჩემი მერხი ფანჯარასთან იდგა, კარგად ვხედავდი, სკოლის პირდაპირ თანდათან როგორ იზრდებოდა აგურის წითური ყუთი. ის ყუთი ჯერ ჩვენს სართულს გაუსწორდა, მერე მესამეს, მერე კი სიმაღლეში სკოლასაც გაუსწრო. და აი, სახლიც აშენდა! შენობა ბათქაშით შელესეს, ისე გალამაზდა, თითქოს ახალთ-ახალი სამოსელი ჩააცვესო. შენობის კედლები სუფთა და ქათქათა იყო, როგორც თოვლის ფიფქი, მაგრამ მის გარშემო და შიგნით მშენებლობის შემდეგ იმდენი ნარჩენები დაგროვებულიყო, რომ მის გატანას, მგონი, მთელი თვე დასჭირდებოდა!

და აი, ამ ნარჩენების გასატანად შაბათობის ჩატარება გადავწყვიტეთ. თუმცა, მართალი რომ ვთქვა, შაბათობა კი არა, „სამშაბათობა“ უფრო იყო, რადგან ეს ამბავი სამშაბათს მოხდა.

პირველად ვიყავი ახალ და ჯერ კიდევ შეუსახლებელ შენობაში. ახალთ-ახალ ოთახებში დავდიოდი და ვფიქრობდი: „საინტერესოა, ვინ იცხოვრებს ამ ოთახში? იქნებ რომელიმე მარტოხელა მოხუცი სწავლული შეასახლონ, აი, სწორედ ისეთი, სცენაზე რომ მინახავს ხოლმე? ან იქნებ ოჯახმა იცხოვროს — მამამ, დედამ და შვილმა? იქნებ ამ „შვილმა“ ჩვენს კლასში ისწავლოს?.. ისინი ამ სახლში დიდხანს, ძალიან დიდხანს იცხოვრებენ. სახლი დაძველდება, მას შეაკეთებენ, მაგრამ არავის არ ეცოდინება, რომ ამ ოთახში ყველაზე პირველად მეექვსე „ბ“ კლასის მოსწავლეები შემოვიდნენ...

იმდენხანს ვოცნებობდი, რომ რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ — ალექსანდრე ძუგაევმა შენიშვნა მომცა:

— სამუშაოდ მოხვედი თუ დასათვალიერებლად?

შენიშვნა სამართლიანი იყო და მაშინვე მუშაობას შევუდექი.

გოგონებისათვის შრომა რომ შეგვემსუბუქებინა, გადავწყვიტეთ ჯინი ორს ეტარებინა — გოგოსა და ბიჭს; ბიჭი — წინ გოგონა — უკან.

მე ნატაშა მაზურინასთან ერთად უნდა ვიმუშაო. მგონი უკვე გითხარით, რომ ის ყველაზე შეგნებული გოგონაა ჩვენს კლასში. აი, მაგალითად, მასწავლებელმა საშინაოდ ორი ამოცანა მოგვცა, ნატაშა თავის სურვილით სამ ან ოთხ ამოცანას ამოხსნის ხოლმე. ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ, როგორ უნდა მემუშავნა ამ ნატაშასთან ერთად! ვერ ისვენებდა, სულ რაღაცას მისწორებდა: ხან — ჯინი არ გიჭირავს სწორადო, ხან — მინებს მაგრად ნუ აწვებიო.

არაქათი გამომეცალა. მაგრამ მუშაობამ კი არა, ნატაშას გაუთავებელმა წუწუნმა და გულისგამწყალებელმა სიტყვებმა დამღალეს. როგორც კი გავიგონებდი მის საყვარელ სიტყვებს — „არა გრცხვენიათ?“ — შუბლზე მაშინათვე ოფლი დამასხამდა ხოლმე. ერთხელ შესვენება მოვაწყვეთ. დაფიქრებულმა ნატაშა მაზურინამ თქვა:

— კარგი იქნებოდა, ხალხის შემოსახლებამდე ოთახები მოგვერთო!

— რრა თქმა უნდა, — შეეპასუხა ნემსიყლაპია. — ახხალი ოთახებიც — მაგათ, საჩუქრებიც — მმაგათ!.. კკარგია...

— არა გრცხვენია? — წამოიძახა ნატაშამ.

მაგრამ ვიტიას ოდნავაც არა რცხვენოდა და ნატაშამაც გაჩუმება ამჯობინა.

— მოდით, ყველამ ერთად ვიფიქროთ! — მიმართა რაზმს ძუგაევმა.

ერთხანს ყველანი ერთად ვფიქრობდით, მაგრამ „ყველამ ერთად“ ვერაფერი მოვიფიქრეთ და ისევ ჯინებს, ნიჩბებს და ჩვრებს მივუბრუნდით.

გაცხარებულ მუშაობაში ვიყავით. სწორედ ამ დროს შენობაში საშინელი, გულშემზარავი ყვირილი გაისმა. რა თქმა უნდა, მაშინვე ვიცანი ლიულკა მუხინას ხმა. ყველანი მეზობელ ოთახში შევცვივდით, სადაც ლიულკა მუშაობდა. თურმე ნაგვის გროვიდან ელექტრონის სადენს გამოეყო თავი, ლიულკას კი გველი ჰგონებია. გველი — ახალთ-ახალ სახლში! ამას, რა თქმა უნდა, მარტო ლიულკა თუ წარმოიდგენდა. ეჰ, რატომ აქამდე არ შევუსვი მერხში ცოცხალი ანკარა? წარმოდგენილი მაქვს, რაც მოხდებოდა! თუმცა ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა



იცის, შესვენების ბოლოს, ზღარბის არ იყოს, იქნებ იმ ანკარასაც ჩემს მერხში ამოეყო თავი! სასწაულია, სასწაული!..

მოკლედ, იმ ჩვენი „სამშაბათო შაბათობის“ დროს ნაგვისაგან მხოლოდ ერთი სართულის გაწმენდა მოვასწარით. შენობა კი შვიდსართულიანია!

6 დეკემბერი

რაზმში ხელმარჯვეთა წრე გვაქვს. წრეში ყველა ჩაეწერა: ისიც, ვინც მართლა ხელმარჯვეა, და ისიც, ვისაც ხელიდან არაფერი გამოუდის. წრეში ყველანი უნდა ჩაეწერონო, გადასწყვიტა ალექსანდრე ძუგაევმა.

— ყოველ ნორმალურ ადამიანს უნდა შეეძლოს რაიმეს გაკეთება, — განაცხადა მან.

ალექსანდრე მართალი იყო: ყველა ნორმალურ ადამიანს ეხერხება რაღაც. აი, მე, მაგალითად, ცოცხალი კუთხისათვის გალია შევაკოწიწე, ნემსიყლაპია ლურსმნებს და ჩაქუჩს მაწოდებდა, — რას იზამ, მას ეს ეხერხება!

მერე კი, როცა პიონერთა ოთახში გამოფენა მოაწყვეს, ჩემს გალიაზე ფირფიტა მიაკრეს ასეთი წარწერით: „პიონერების — ვიტია ძეკონსკის და სევა კოტლოვის ნამუშევარი“. ვიტია უცებ ჩემზე წინ აღმოჩნდა, მაგრამ რატომ ან რისთვის, აქამდე ვერ გამიგია!

გამოფენაზე ბევრი იყო გოგონების ნახელავი: ნაქარგები, ნაქსოვები, პატარა ხელსახოცები, ათასგვარი ბალიშისპირები და სხვა ამდაგვარი ხარახურა. ხარახურა-მეთქი — გამოფენის დათვალიერებისას ვფიქრობდი, — თორემ, მერე ამ „ხარახურას“ ისეთი ფასი დაედო, რომ კინაღამ ჩვენი ბიჭების ნამუშევრებიც გაახუნა.

ერთხელ, მეორე შესვენებისას, კლასში შევირბინე, სკამზე ჩამოვჯექი, რვეულის გამოსაღებად მერხში შევყავი ხელი და... უცებ რაღაცამ მწარედ მიჩხვლიტა. „ახ, შე წყეულო!—გავიფიქრე მე,—ნუთუ ბორკა ნაჰილისტმა მერხში თავისი ეკალი დასტოვა?“ თითს სული შევუბერე, ჩანთა გავხსენი და, რას ვხედავ: შუაზე გადატეხილი კალმის წვერით ჩანთის კიდეზე ბარათია მიმაგრებული!

ისევ ბარათი! და ისევ მანქანაზეა გადაბეჭდილი! აი, რა ეწერა იმ ბარათში: „კოტლოვ, ნეტავ რისთვის შეგარქვეს „დიდი კომბინატორი“? რაღაც ძალიან ნელა და უკუღმა ტრიალებენ შენი ტვინის საკისრები. ძმაო, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, „დიდ კომბინატორს“ კი არა, აუცილებლად „დიდ დოყლაპიას“ შეგარქმევენ! ახლა კი ყურადღებით მოგვისმინე. არ იცით, სად უნდა წაიღოთ მაგ თქვენი ხელმარჯვეთა წრის ნამუშევრები? ჩრჩილის საღრღნელად კარადაში რომ ჩაყარეთ, სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ? უმჯობესი არ იქნება, ყველაფერი ეს ახალ სახლში დაბინავებულ ადამიანებს რომ უსახსოვროთ? გოგონებმა ყოველ საჩუქარზე ფერადი ძაფებით ამოქარგონ სიტყვები: „ბედნიერ ახალმოსახლეობას გისურვებთ, მეგობრებო!“ განა ცუდი იქნება? საჩუქრები თუ არ გეყოფათ, მაშინ მთელ სკოლას მიმართეთ მოწოდებით — ხელმარჯვეთა წრე ხომ ყოველ რაზმშია! მოსაზრებაა საჭირო, მოსაზრება!“

წერილის კუთხეში კი, რა თქმა უნდა, ისევ ის მინაწერია — „შუძ“.

სასწრაფოდ მოვიწვიეთ რაზმის საბჭოს რიგგარეშე სხდომა. ბავშვები ყვიროდნენ, რომ მე „გენიოსი“ და „კლასის სიამაყე“ ვარ, „ოქროს თავი“ მაქვს და სხვა ამდაგვარი. მე მორიდებით ვპასუხობდი: არაფერ შუაში ვარ-მეთქი. სიმართლეს ვამბობდი, მაგრამ ბავშვები არ მიჯერებდნენ, მაქებდნენ და ალტაცებაში მოდიოდნენ: „რა თავმდაბალი ხარ!.. თავმდაბლობა ამშვენებს პიონერს!.. შენს სიცოცხლეში სულ ასეთი თავმდაბალი იყავი!“ სხვა რა გზა მქონდა პირობა დავდე, რომ ჩემს სიცოცხლეში სულ ასეთი ვიქნებოდი.

თარგმნა ჯემალ ნინუამ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა-პასუხი

„პიონერის" მკითხველები ძალიან დააინტერესა განყოფილებამ — „კითხვა-პასუხი". რედაქცია ღებულობს მრავალ წერილს, სადაც ბავშვები მათთვის უცნობი ბევრი საკითხის გარკვევას გვთხოვენ. ამჯერად ვპასუხობთ თბილისის 12-ე საშ. სკოლის მეექვსეკლასელების თ. ახვლედიანისა და რ. ზურაბიშვილის შეკითხვებზე.

## სად და როდის გაჩნდა ქაღალდი?

ქაღალდი გაწებილი და თხელ ფენებად დაწნეხილი ცელულოზაა (ნივთიერება, რომელიც წარმოადგენს მცენარის უჯრედის გარსის მთავარ შემადგენელ ნაწილს).

პაპირუსის გადამუშავებას, რასაც ძველ ეგვიპტეში მიმართავდნენ, არავითარი საერთო არა აქვს ქაღალდის თანამედროვე წარმოებასთან. ქაღალდის წარმოება ჩინეთში დაიწყო II საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით, ხოლო ევროპაში იგი პირველად არაბებმა დაამზადეს.

მრავალი წლის განმავლობაში ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიაში არავითარი ცვლილება არ ხდებოდა. საქაღალდე მასას ბამბისა და სელის ქსოვილის ჩვრებიდან ღებულობდნენ, რასაც კირის ხსნარს ან ნაცარს უმატებდნენ. ხელით გადამუშავების დროს ქვაბში ჩასხმულ საქაღალდე მასას შეურევდნენ წყალს, ხოლო შემდეგ ამოჰქონდათ ნაწილ-ნაწილ და სდებდნენ სწორკუთხოვან ყალიბებზე. ასე იღებდნენ ქაღალდის ფურცელს.



ქაღალდს მცირე რაოდენობით აწარმოებდნენ და იგი ძალიან ძვირი ღირდა.

1799 წელს საფრანგეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით დაიწყეს ქაღალდის გამოშვება გრძელი ლენტის სახით. ქაღალდის მისაღებად მერქნის, როგორც ძირითადი ნედლეულის, გ ა მ ო ყ ენებამ მნიშვნელოვნად გააიაფა მისი წარმოება.

ამ სფეროში მიღწეულ უდიდეს პროგრესს ყველაზე უკეთ ცხადყოფს ის ციფრები, რომლებიც გაზეთის ქაღალდის წარმოებას ეხება. ამჟამად საქაღალდე მანქანა 8 მეტრის სიგანე ლენტს უშვებს— წუთში დაახლოებით 350 მეტრის სიჩქარით. ამრიგად, ერთი დღის განმავლობაში მანქანას შეუძლია გამოუშვას დაახლოებით ათი ვაგონი გაზეთის ქაღალდი.

## როგორ აშენებდნენ პირამიდებს ეგვიპტეში?

პირამიდები დაახლოებით სამი ათასი წლის წინათაა აგებული ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პირამიდები ძველი ეგვიპტის მბრძანებლების — ფარაონების აკლდამებია. ქვის გიგანტური ბლოკებით ნაგებ პირამიდების შიგნით განლაგებულია დერეფნები და დარბაზები. დღევანდლამდე, მთლიანად ან ნაწილობრივ, დაახლოებით სამოცდაათი პირამიდაა შემონახული. მათ შორის ყველაზე დიდია ხეოფსის პირამიდა, რომლის სიმაღლე 146 მეტრია.

აი, რამდენიმე ციფრი, რომლებიც პირამიდების მშენებლობაზე გაწეულ შრომას გამოხატავს. ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს (V საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ცნობით, ხეოფსის პირამიდას 100 ათასი მონა აშენებდა ოცი წლის განმავლობაში. ამ პირამიდის ასაგებად გამოყენებულია 2.300 ათასი ცალი ქვის ბლოკი.

როგორც ჰეროდოტე გადმოგვცემს, ბლოკებს ამტვრევდნენ ნილოსის ნაპირზე განლაგებულ ქვის სატეხებში,საიდანაც ტივებით გადაჰქონდათ სპეციალურად გაყვანილ გზამდე. ამ გზის სიგრძე 950 მეტრი იყო, ხოლო სიგანე— 18 მეტრი. ამ გზაზე ქვები ხის მარხილებით გადაჰქონდათ, რომლებშიც სახედრები და მონები იყვნენ შებმულნი. გზის ზედაპირს ასწორებდნენ, ზედ წყალსა და ზეთს ასხამდნენ, რაც საგრძნობლად ამცირებდა ხახუნის ძალას. ქვები მაღლა აჰქონდათ რთული სისტემის ჭოჭონაქებისა და ჯალამბრების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ამ ქვების წონა რამდენიმე ათეულ ტონას აღწევდა. ყველა ბლოკს თავის ადგილზე ალაგებდნენ და კედელს ხვეწილი ქვაქვიშის ფილებით ამშვენებდნენ: მზის კაშკაშა შუქზე ქათქათა ლოდის მსგავსი პირამიდა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი

# სერგო ქობულაძე



ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში სერგო ქობულაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც დიდი დიაპაზონისა და საკუთარი სტილის მხატვარს.

ქობულაძის შემოქმედებაში აისახა პლასტიკური ხელოვნების თითქმის ყველა დარგი, მაგრამ მხატვარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წიგნის გრაფიკასა და თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებას. სადაც თავი გამოიჩინა როგორც დიდი ტალანტისა და გემოვნების მხატვარმა.

შემოქმედების პირველ პერიოდში ქობულაძე ილუსტრაციებზე მუშაობს. მისი პირველი საინტერესო ნამუშევარი იყო ნ. ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონისა“ და ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ ილუსტრაციები. მართალია, მხატვარი ამ ნამუშევრებში არ იყო დაზღვეული ზოგიერთი ნაკლისაგან, მაგრამ დამწყები შემოქმედისათვის აღნიშნულ ნაწარმოებთა გაფორმება საყურადღებო შემოქმედებითი გამარჯვება იყო, — ქართულ მხატვრობას შეეძინა ძალზე თავისებური სტილის, დაკვირვებული. აუჩქარებელი და შრომისმოყვარე მხატვარი.

დაძაბული მუშაობისა და სწავლის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ს. ქობულაძის შემოქმედებითი მრწამსი, — იგი, როგორც მოწოდებით პლასტიკური სტილის მხატვარი, ძირითადად ასურათებს სიუჟეტურად დაძაბულ, ეპიკურ ნაწარმოებებს. მხატვარმა შემოქმედების პირველ პერიოდშივე მოჰკიდა ხელი შექსპირის ტრაგედიების გაფორმებას. იგი 1934 წ. მუშაობას იწყებს „ანტონიოსი და კლეოპატრას“, „მაკბეტის“, „რიჩარდ III“ და „მეფე ლირის“ ილუსტრაციებზე. მხატვარმა შექმნა მთელი გალერეა გმირებისა. რომლებიც მნახველის ყურადღებას იქცევენ სახის ფსიქოლოგიური გამოკვეთითა და ძლიერი შინაგანი სულიერი დრამით. „მეფე ლირის“ ილუსტრაციებზე მხატვარი დიდხანს მუშაობს. ეს არის დიდი პროფესიონალურობით შესრულებული ნაწარმოებები, რომლებიც გამოირჩევიან ლაკონური კომპოზიციურობითა და ვირტუოზული ნახატით. სურათების ცენტრალური ნაწილია მეფე ლირის გამოსახულება, კომპოზიციის სხვა ნაწილები ემსახურება ერთ მთავარ მიზანს, — ზუსტად გამოსახოს ის დრამატულად დაძაბული მდგომარეობა, რაც ტრაგედიაში მეფე ლირის პიროვნების სიძლიერითაა განპირობებული. ეს ყველაფერი კი დიდი ოსტატობით და ზომიერების გრძნობითაა შესრულებული. მხატვარი აჩვენებს მეფე ლირის არა ოჯახურ დრამას, არამედ საერთო-საკაცობრიო ტრაგედიას. სერიაში მოცემულია მეფე ლირის ცხოვრების უმთავრესი მომენტები; ჩვენ ვხედავთ, მეფე დესპოტი როგორ გადაიქცა დესპოტ-ადამიანად და შემდეგ, მოვლენათა ჭიდილში, როგორ შეცვალა იგი თავის თავზე გადატანილმა უბედურებამ, როგორ იქცა ეს დესპოტი-მბრძანებელი მეტად სათნო და კეთილ ადამიანად. ს. ქობულაძის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან შეძლო ეჩვენებინა მეფე ლირის ხასიათის ცვლილებები. ეს არ არის ამბის უბრალო მოყოლა, აქ ყველაფერი პლასტიკურად, ლაკონიურად და გასაგებადაა გადმოცემული. მაგალითისთვის დავასახელოთ კომპოზიცია „მეფე ლირი გლოსტერის სასახლეში“. კვერთხზე დაყრდნობილი, წელში მოხრილი ლირის ძლიერი და მძიმე ფიგურა, რომელიც კიბეების საფეხურებზე დგას, კომპოზიციის ცენტრშია. სხვა ფიგურები ისეა განლაგებული, რომ ისინი თავიანთი მოძრაობით ლირის ფიგურას აძლიერებენ, — ხაზს უსვამენ ლირის პიროვნების სიძლიერეს. მეფე ლირის ილუსტრაციები საინტერესოა შესრულების მანერითაც. მონუმენტურობას აღწევს ფორმათა თავისებური დამუშავებით. იგი ნახატს არ აწვრილმანებს. მართალია, ზოგიერთი კომპოზიცია გადატვირთულია დეტალებით, მაგრამ ისინი ისეა განლაგებული ამ კომპოზიციაში, რომ ნახატის მთლიანობას ზიანს არ აყენებენ. ნახატის შედარებით რბილ მოდელირებასთან ერთად, მხატვარი დიდი ოსტატობით და ზომიერებით გადმოგვცემს ე. წ. ფორმის მოცულობას. რაც მთავარია, კომპოზიციებს ახასიათებს შინაგანი რიტმი, რაც მხატვრულ სრულყოფამდეა მიყვანილი.

მეფე ლირის ილუსტრაციები მხატვრულად დასრულებული ნამუშევრებია, რომლებიც, ფაქტიურად, დაზგური სურათების ხასიათისანი არიან. ეს არის მხატვრის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებები, რომლებმაც მას დიდი აღიარება მოუტანეს.

1936 წ. ქობულაძე იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობას. ამ პერიოდისთვის მხატვარს უკვე შემუშავებული აქვს საკუთარი




დანტე.

სტილი, რომელიც გამოიხატება ძლიერ, სწორ და დინამიკურ ნახატში. მისი კომპოზიციები ზუსტი, სადა და დახვეწილია. მხატვარი მთავარ ყურადღებას ფიგურათა მოცულობითს გადმოცემას აქცევს. ასეა შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებიც. მხატვარს ხშირად კომპოზიციებში შეაქვს პეიზაჟები, რაც წინა პლანზე წამოწეული ფიგურისათვის ხაზგასასმელად სჭირდება. მაგალითისათვის ავიღოთ ნესტან-დარეჯანის წერილის წერის სცენა. ის პერსპექტიული სიღრმე, რომელიც სარკმლიდან მოჩანს, კიდევ უფრო უსვამს ხაზს ნესტანის ძლიერად შესრულებულ ფიგურას და აწონასწორებს კომპოზიციას. იგივე შეიძლება ითქვას „ნახეს უცხო მოყმე ვინმეს“ და სხვა კომპოზიციებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ქობულაძისეულ ილუსტრაციებში მთავარია საერთო განწყობილება, რომელსაც მხატვარი აღწევს დახვეწილი, ლაკონიური კომპოზიციებით. ცალკეულ ფიგურათა შესრულება მაღალ პროფესიულ დონემდეა აყვანილი. სწორედ ამიტომაა, რომ ს. ქობულაძის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ამ პოემის სხვა ილუსტრაციათა შორის და დღესაც აღელვებს მნახველს.

ს. ქობულაძემ თავისებურად დაასურათა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. მხატვარმა რუსული ხალხური პოეზიის ამ შედევრის ილუსტრაციებზე რამდენიმე წელი იმუშავა, შეისწავლა ძველი რუსული კედლის მხატვრობა, ხატწერა და მინიატურა. მან, ამასთან ერთად, გამოიყენა ძველი ოსტატების ფერწერული მანერაც. ეს ილუსტრაციები შესრულებულია სიბრტყობრივი კომპოზიციური მანერით. ფიგურები არ გამოირჩევიან გარეგანი დინამიკით, მაგრამ მათ აქვთ ძლიერი შინაგანი რიტმი. მხატვარი ფილიგრანულად ამუშავებს ყველა დეტალს, **ქმნის მდიდარ** კომპოზიციურ სცენებს. შთაბეჭდილებას აძლიერებს ფერადოვანი გამაც, რომელიც ორგანულად ერწყმის ნახატს. სჭარბობს წითელი ტონი, რაც ახასიათებდა რუსულ ხატწერას. ფიგურათა შესრულების ფაქტურა მდიდარია, ნახატი — დასრულებული. ფიგურები რამდენადმე არქაულ იერს ატარებენ, რაც აძლიერებს ისედაც დიდებულ, პლასტიკურად ძლიერ სანახაობითს მხარეს.

1959 წ. ს. ქობულაძე მუშაობს შალვა დადიანის რომანის — „გიორგი რუსის“ ილუსტრაციებზე. მხატვარს ისევ მიეცა საშუალება ემუშა-

მეფე ლირი.



ანტონიოს და კლეოპატრა.



ვა თამარ მეფის ეპოქისდროინდელ ნაწარმოებზე. ეს ეპოქა ხომ ასე ნაცნობი და საყვარელი იყო მისთვის!

ს. ქობულაძე ბევრს მუშაობს ქართული ხალხური ზღაპრების გაფორმებაზე. მისი „ამირანის", „ლურჯა ცხენების", „ნაცარქექიას" და სხვა ნაწარმოებთა ილუსტრაციები შესრულებულია ზღაპრებისათვის შესაფერისი მსუბუქი, დახვეწილი, ჰაეროვანი სტილით.

ს. ქობულაძე ასევე ძლიერი და საინტერესო შემოქმედია თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში. ხელოვნების ამ დარგში მისი სახით გვყავს უდავოდ დიდი გემოვნებისა და კულტურის მქონე მხატვარი.

მის მიერ გაფორმებული სპექტაკლები ნათლად მეტყველებენ მხატვრის დიდ გაქანებასა და ალღოზე დეკორატიულ ხელოვნებაში.

ს. ქობულაძე დიდი ერუდიციის მხატვარია; შრომისმოყვარეობა, დახვეწილი ოსტატობა, ფაქიზი გემოვნება და ზომიერების გრძნობა მას აყენებს დიდ მხატვართა რიგებში.

**ამირან ჩხარტიშვილი,**
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.



ამბავი იგორის ლაშქრობისა.

## „ციდან ჩამოსული თევზები"

აფრიკასა და სამხრეთ ამერიკის ცხელ რაიონებში მოგზაურებს ხშირად შეუმჩნევიათ ერთი საოცარი მოვლენა: პაპანაქებით დალარულ, გამომშრალ, ამტვერებულ ამ ადგილებში, როგორც კი წვიმები წამოვა და ორმოებსა და ქვაბურებში წყალი ჩადგება, მათში თევზებიც იწყებენ ცურვას.

საიდან უნდა გაჩენილიყვნენ თევზები ზღვიდან და მდინარეებიდან ათეული კილომეტრით მოცილებულ ადგილებში? ადგილობრივ მცხოვრებლებს სხვა ახსნა რომ ვერ ეპოვნათ, ამბობდნენ: „თევზები ციდან ცვივიანო.

ეს საოცარი თევზები ევროპაში ჩამოიყვანეს. ნათელი ფერის, ძალზე მოძრავი, კოხტა „ცის შვილები" საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდნენ. მათ დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ, მაგრამ ვერა და ვერ იქნა, თევზები ერთ წელზე მეტ ხანს ვერ აცოცხლეს. ქვირითის დაუდებლად იღუპებოდნენ და თან მიჰქონდათ თავიანთი წარმოშობის საიდუმლო. მაგრამ ადამიანმა მაინც ახადა ფარდა ბინდით მოცულ ამ უცნაურობას.

როცა გაზაფხულსა და ხანგრძლივ წვიმებს ზაფხული და გვალვიანი დღეები ენაცვლება, პატარ-პატარა მდინარეები და გუბურები სწრაფად შრება. როცა წყალი ისე ცოტა დარჩება, რომ თევზებს ძლივს ფარავს... თევზები ქვირითს ჰყრიან და ფსკერზე, ტალახში ფლავენ. გავა რამდენიმე დღე, პაპანაქება შეისრუტავს უკანასკნელ სინესტეს, თევზები დაიღუპებიან, მზის სხივებისაგან დაცული ქვირითი კი საიმედოდაა შენახული გამომშრალი ტალახის საფარქვეშ.

მოვა ახალი გაზაფხული, წამოვა კოკისპირული წვიმები და, იმ დროისათვის უკვე მომწიფებული ჩანასახი /უმალ სტოვებს თავშესაფარს. გადის თვეები... ამასობაში მოდის ახალი ზაფხული, იწყება გვალვები და, ეს თევზებიც, თავიანთი წინაპრების მსგავსად, ჰყრიან ქვირითს, ფლავენ ტალახში, თვითონ კი იღუპებიან.

## ცხენთევზა

ცხენთევზას უცნაური აღნაგობის თავი ბოლოვდება გრძელი ხორთუმით, კუდი კი — ანკესის მსგავსი კაუჭით. ამ ცხოველს ფარფლები არა აქვს და ამიტომ, კი არ ცურავს, — ვერტიკალურად მოძრაობს წყალში. ცხენთევზას სხეულის სიგრძე 12-დან 18 სანტიმეტრამდე აღწევს.

დედამიწის წყლებში 20.000 სხვადასხვა ჯიშის თევზია გავრცელებული. მათი უმრავლესობა

ჭურის ქვირითს და სრულიად არ ზრუნავს შთამომავლობის ბედზე. ცხენთევზა კი თავისებურ „მზრუნ-



ველობას" იჩენს: მამრებს მუცლის მხარეზე აქვთ ერთგვარი ჩანთა, რომელშიაც მდედრი ჭურის 102—197 ცალ ქვირითს. ქვირითიდან გამოჩეკილი ლიფსიტები ჩანთაში იმ დრომდე რჩებიან, სანამ დამოუკიდებელ ცხოვრებას შესძლებენ.

## ინდაური

ცნობილია, რომ კოლუმბმა მის მიერ აღმოჩენილი ახალი ქვეყანა — ამერიკა შეცდომით ინდოეთად მონათლა. ამით გამოწვეულმა არევ-დარევამ ენასაც დიდი კვალი დააჩნია.

ამერიკის ადგილობრივ მცხოვრებლებს დღესაც კი ინდიელებს ვუწოდებთ.

ამ გაუგებრობის მსხვერპლი გახდა კარგად ცნობილი შინაური ფრინველი — ინდაური.

დიდი ხნის განმავლობაში ინდაური ინდოეთიდან შემოყვანილი ეგონათ. ეს შეცდომაა. ინდაური სუფთა წყლის ამერიკული ფრინველია. ოდესღაც, სანამ ევროპელები ამერიკაში შეაბიჯებდნენ, ინდაურების აურაცხელი ლაშქარი ცენტრალური ამერიკის მთასა და ბარს იყო მოდებული. შემდგომში, ცეცხლმსროლელი იარაღის გაუმჯობესებამ და ადამიანთა სიხარბემ თავისი საქმე გააკეთა და ეს თვინიერი, უწყინარი ფრთოსანი კინაღამ გადაშენდა.

ამბობენ, პირველმა ინდაურმა ევროპის მიწას 1554 წელს დაადგა ფეხი. ცნობილი ქართველი მეცნიერი პლატონ იოსელიანი წერს, — საქართველოში ინდაური პირველად ერეკლე მეფის დროს შემოიყვანესო.

# იუმორი

— რამდენია ტემპერატურა ოთახში? — იკითხა ოტომ.

ანამ თერმომეტრს დახედა და უპასუხა:

— ათი გრადუსი.

— გარეთ?

გოგონამ გარეთ, ფანჯარასთან, დაკიდებული თერმომეტრიც შეამოწმა და თქვა:

— ხუთი გრადუსი.

— გავაღოთ ფანჯარა, — მოისაზრა ოტომ, —ოთახის სითბოს გარედან შემოსული ხუთი გრადუსიც მიემატება!

●

დ ე დ ა: შენი მეგობარი ოტო დიდი ბოროტი ბიჭია: დაუჭერია კატა და კუდით ვედროზე მიუბამს. მე მჯერა, რომ შენ მას არ დახმარებიხარ.

პ ა ვ ლ ე: რა თქმა უნდა, არა, დედი.

დ ე დ ა: მაშ, რატომ ხელი არ შეუშალე ამ საძაგლობის ჩადენაში?

პ ა ვ ლ ე: აბა, როგორ შევუშლიდი ხელს, მე ხომ კატა მეჭირა?!

●

ტრამვაი მთელი სისწრაფით მიჰქრის. ერთი ახალგაზრდა კაცი ჩასახტომად მოემზადა. მასთან კონდუქტორი მივიდა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— სად მიგეჩქარებათ, ყმაწვილო, ასე ძალიან?

— საავადმყოფოში.

—აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! თუ ასეა, გადახტით!

●

— რა უნდა გამოვიდეს თქვენი შვილი?

— გულის მკურნალი ექიმი.

— აჰ, ნუ იზამთ მაგას, შიმშილით მოგიკვდებათ. უმჯობესია კბილის ექიმი გახდეს!

— ვითომ რათაო?

— უფრო ბევრს გამოიმუშავებს: ყოველ ადამიანს ერთი გული აქვს, კბილი კი— ოცდათორმეტი.

●

— როგორ გამოიცნობთ, ახალია თუ ძველი ქათამი?

— სულ ადვილად, კბილებით.

— რას ამბობთ, სადა აქვს ქათამს კბილები!

— სამაგიეროდ, მე მაქვს!

●

ფრაუ მიულერს კონცერტზე დააგვიანდა. ადგილი დაიკავა და მეზობლად მჯდომ ქალს შეეკითხა, რა მუსიკალურ ნომერს ასრულებენო.

— მეცხრე სიმფონიას, — უპასუხა ქალმა.

— ოჰ, რა სამწუხაროა, რომ დანარჩენი რვა სიმფონია ვერ მოვისმინე, — თქვა შეწუხებულმა ქალბატონმა.

●

ერთი ჟურნალი ასეთი კითხვით მიმართავდა თავის მკითხველებს:

— რა წიგნს წაიღებდით თან, დაუსახლებელ კუნძულზე თუ მოგიწევდათ გამგზავრება?

რედაქციამ სხვადასხვანაირი პასუხი მიიღო, ვინ შექსპირს ასახელებდა, ვინ — სვიფტს, ზოგი კიდევ სხვას; ინგლისელმა მწერალმა ჩერსტერტონმა ამ კითხვაზე ასე უპასუხა:

— ყველაზე საჭირო წიგნი, ასეთ შემთხვევაში, ნავთმშენებლობის სახელმძღვანელო იქნებოდა!

●

მიუნხენელი პოეტი პაულ ჰაიზე მეტად ენამოსწრებული და მხიარული კაცი იყო. ერთხელ იგი ხალხით გაჭედილი ტრამვაით მგზავრობდა. ერთმა ახალგაზრდამ მას ფეხზე ფეხი დაადგა და კარგახანს იდგა ასე, მაგრამ პოეტი სრულიადაც არ გაბრაზებულა. მან მხოლოდ ხელი მოუთათუნა მხარზე ჭაბუკს და ჰკითხა:

— ერთი მითხარით, ყმაწვილო, რამდენი წლისა ხართ?

გაოცებულმა ახალგაზრდამ უპასუხა:

— ოცი წლის.

— ამ ასაკში კაცი, ჩემი აზრით, საკუთარ ფეხზე უნდა იდგეს.

გერმანულიდან თარგმნა დავით ჩაკვეტაძემ.

**ხრისტო სტოიანოვი.**
ბულგარელი მწერალი



# დობილები

ნადია და რუმიანა განუყრელი მეგობრები იყვნენ. ისინი ერთ მერხზე ისხდნენ. რუმიანა ხშირად გაკვეთილებს არ ამზადებდა, სკოლაში მივიდოდა და თავის დობილს დაჟინებით სთხოვდა:

— ნადია, თუ გამიძახეს, მიკარნახე! გესმის?!

— კარგი, გიკარნახებ. ოღონდ ყურადღებით მიცქირე.

თებერვლის ერთ დილას რუმიანამ სკოლაში მიირბინა:

— ნადია, დავიღუპე, — უთხრა მან თავის დობილს, — ერთხელაც არ წამიკითხავს ისტორიის გაკვეთილი! დღეს ნამდვილად მე გამიძახებს მასწავლებელი. შენი ჭირიმე, ჩემს მაგივრად შენ გადი დაფასთან.

— არა, არა, არ შემიძლია! — აღშფოთდა ნადია.

რუმიანა გაებუტა:

— ახლა კი მივხვდი, რა დობილიც ყოფილხარ!

— შენ ხომ იცი, რომ ძალიან მიყვარხარ!

— სიტყვით კი, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება — არ შეგიძლია მსხვერპლის გაღება.

— არა, მე მიყვარხარ შენ, მაგრამ...

— დამიმტკიცე!

რუმიანა დაჟინებით ცდილობდა თავისი გაეტანა.

— კარგი, — დაყარა ბოლოს ნადიამ ფარ-ხმალი, — ისე კი, რა კარგი იქნება, რომ არ გაგიძახოს მასწავლებელმა...

ზარის ხმა მესამედ გაისმა. კლასში ისტორიის მასწავლებელი შემოვიდა, მოსწავლეებს მიესალმა, მაგიდაზე საკლასო ჟურნალი დადო და წუთით ფანჯარაში გაიხედა, აოვლის ფანტელებს გააყოლა თვალი.

რუმიანა ნერვიულად წრიალებდა მერხზე. მასწავლებელმა უბის წიგნაკი ამოიღო და ფურცვლა დაუწყო.

— ოცდამეოთხე ნომერი — დაფასთან! — გაისმა მასწავლებლის მკაცრი ხმა.

რუმიანა აკანკალდა, თვალის გუგები გაუფართოვდა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაძრულა. მან შეუმჩნევლად მიიწია ნადიასაკენ, იდაყვი გაჰკრა და წასჩურჩულა:

— ნადია, ნადიკო, გემუდარები!

ნადია წუთით შეყოყმანდა, მერე ადგა და დაფისკენ გაემართა. თავი სიზმარში ეგონა. აღარაფერი ესმოდა: არც ბიჭების გაცხოველებული ჩურჩული და არც მათი ენაკვიმატობა.

მასწავლებელმა ყურადღებით გადახედა კლასს და მკაცრად წარმოთქვა:

— ჩუმად!

ნადია დაფასთან გაჩერდა, თავი ჩაჰქინდრა, მასწავლებლისათვის თვალი ვერ გაესწორებინა, გამშრალი, გაფითრებული იდგა და ტუჩები უკანკალებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო გაკვეთილის მოყოლა. პირველად ბორძიკობდა, ენა ებმებოდა, მერე თანდათან გაიტაცა თხრობამ, ენა გაიწაფა.

— აი, ხედავ, რა კარგად გისწავლია გაკვეთილი. ოღონდ, ვერ გამიგია, რამ შეგაკრთო...

გოგონა გაწითლდა და ატირდა.

— დაჯექი, — უთხრა მასწავლებელმა წყნარად და რაღაცაზე ჩაფიქრდა.

ნადია თავის მერხისკენ გაქანდა.

რუმიანა, დამნაშავისა და შეშინებულის იერით, უძრავად იჯდა, წარბები ნერვიულად უთამაშებდა.

— ახლა მეთვრამეტე ნომერი გამოვიდეს!

კლასში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. რაკი ადგომას არავინ არ აპირებდა, მასწავლებელმა გაიმეორა:

— მეთვრამეტე ნომერი!

ნადია გაფითრდა და რუმიანას გადახედა. შეშინებული რუმიანა ხან მასწავლებელს შეჰყურებდა, ხან ამხანაგებს, თითქოს ეუბნებოდა: ნუთუ მაინც და მაინც ასე უნდა მომხდარიყოო? ბოლოს ადგა, დაფასთან გავიდა, თვალები აახამხამა, ტუჩები აალმაცუნა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა... კლასში სიცილი გაისმა.

— აბა, მოყევი გაკვეთილი, — უთხრა მასწავლებელმა.

— ე-ე-ე... — აბლუკუნდა გოგონა და გაჩუმდა.

— მაშასადამე, გაკვეთილი არ იცი, ხომ? სამწუხაროა. რას იზამ, ორიანი უნდა დაგიწერო.

რუმიანა თავჩაქინდრული იდგა. ნადია ჩუმად ტიროდა. ყმაწვილები ხან ერთს შეხედავდნენ, ხან მეორეს.

— დაჯექი, — უთხრა მასწავლებელმა. — მე ძალიან კარგად ვიცი, ვინც არის ოცდამეოთხე ნომერი, მაგრამ ნიშნებს მაინც არ შევცვლი. რუმიანა, მამაშენს უთხარი, ხვალ სკოლაში მოვიდეს. მეთვრამეტე ნომერი კი, — მიუბრუნდა ნადიას, — იმედი მაქვს, დაიმახსოვრებს ამას და აღარასოდეს არ შეეშლება თავისი ნომერი.

რუმიანა თავის მერხს დაუბრუნდა. სირცხვილისაგან თვალებში ვერ იხედებოდა და არც არაფერი ესმოდა.

თარგმნა ნათელა ფურცელაძემ.



## რატომ სძინავს სპილოს ზეზეურად?

საფრანგეთის მეფეს — ლუდოვიკო მეთოთხმეტეს ჰყავდა სპილო, რომელიც მთელი ხუთი წლის მანძილზე ერთხელაც არ დაწოლილა. იგი ზეზეურად იძინებდა. ჭკვიანმა ცხოველმა თავისი სადგომის ქვის კედელში ორი ნახვრეტი „გააკეთა“ და, როცა ძილი მოერეოდა, თავის შესამაგრებლად ამ ნახვრეტებში გაჰყოფდა ხოლმე ეშვებს.

ლუდოვიკო მეთოთხმეტის სპილო ნატურალისტთა დაუსრულებელი კამათის საგანი გახდა.

მართლაც, რა იყო ამ სპილოს უცნაური ჩვეულების — ზეზეურად ძილის მიზეზი? ამ კითხვაზე ამჟამად შეგვიძლია უტყუარი პასუხი გავცეთ: სპილო დაძინების დროს იმიტომ არ წვებოდა, რომ იგი მარტოკა ცხოვრობდა, მის გვერდით არ იყო სხვა სპილო, რომელიც დარაჯად დაუდგებოდა ძილის დროს.

მამალი სპილოები, გარეულებიცა და მოშინაურებულებიც, ისე არ დაწვებიან, თუ რომელიმე მათგანი გუშაგად არა დგას. ამერიკის ერთ-ერთ ცირკში 85 მამალი სპილო ჰყავდათ. ამათგან ხუთი — მუდამ ფეხზე იყო, სანამ სხვები იწვნენ და ძილში იყვნენ. ყოველი საათნახევრის შემდეგ, გუშაგთაგან ორი — დასაძინებლად წვებოდა. მათ დაუყოვნებლივ სცვლიდა სხვა ორი სპილო, რომლებსაც მანამდე ეძინათ.

ეს ძალზე გონივრული სიფრთხილეა. მწოლიარე სპილოს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება წამოსადგომად. გუშაგად მდგარ სპილოებს კი საშიშროების შემთხვევაში, ყოველთვის ძალუძთ თავდამსხმელთა მოგერიება.

## რწმენაც ასეთი უნდა!

ირანში არის ერთი მეჩეთი — ქუშანი, რომლის წინ 1072 წლიდან დღე და ღამე აბია შეკაზმული ცხენი და დგას მეჯინიბე. ისინი ელოდებიან, როდის აღსდგება მკვდრეთით მეჩეთში დაკრძალული მბრძანებელი მუჰამედ იბნ-დაუდი.



## ცურვას იოლად ისწავლით

იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც ცურვა არ იციან ან ცურვას სწავლობენ, გამოიგონეს ძალიან საინტერესო ქუდი. ეს ქუდი იმით არის საინტერესო, რომ ყურებიანია, ნიკაპთან იკვრება და ჰაერითაა გაბერილი. ამ ქუდს თუ დაიხურავთ, ხელიც რომ არ გაანძრიოთ, არ ჩაიძირებით, თავი მაინც წყლის ზედაპირზე გექნებათ.




## ათანასე ნიკიტინის მიმოსვლა სამი ზღვის იქით

გამოჩენილ რუს მოგზაურზე — ათანასე ნიკიტინზე დღემდე ქართულად არაფერი ყოფილა გამოქვეყნებული. ამ ხარვეზს ავსებს გამომცემლობა „განათლების“ მიერ ამას წინათ გამოცემული წიგნი „ათანასე ნიკიტინის მიმოსვლა სამი ზღვის იქით“, სადაც აღწერილია ნიკიტინის ექვსწლიანი მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთში.

## შვილი

გამოჩენილ რუს პოეტს პავლე ანტოკოლსკის მიმდინარე წელს 70 წელი უსრულდება.

მისი მრავალი ლექსი, პოემა და სალიტერატურო საკითხებზე დაწერილი კრიტიკული ნარკვევები მუდამ დიდ ყურადღებას იპყრობდა. ოცდაათიან წლებში პ. ანტოკოლსკი ახლო გაეცნო ქართულ პოეზიას და მას შემდეგ, როგორც თანამედროვე, ისე ძველი ქართველი პოეტების ნაწარმოებებს დიდი სიყვარულით თარგმნის.

მან არა ერთი და ორი ლექსი უძღვნა საქართველოს.

პოემა „შვილი“ საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ნაწარმოები. მან სახელმწიფო პრემია მიიღო.

„შვილის“ თარგმანი შესრულებულია კ. კალაძის მიერ.

## კალმით და ხიშტით

ქართველი ვაჟკაცები, სხვა მოძმე ხალხების შვილებთან ერთად, თავდადებით იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე და სჭედდნენ მტერზე გამარჯვებას. მათ შორის იყვნენ ქართველი ჟურნალისტებიც. ისინი ხიშტითაც იბრძოდნენ და კალმითაც. მრავალი მათგანი მსხვერპლად შეეწირა ამ დიად საქმეს. მათ ნათელ ხსოვნას ეძღვნება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამოცემული წიგნი „კალმით და ხიშტით“.

სამამულო ომის ფრონტებზე გმირულად დაღუპული ქართველი პოეტებისა და ჟურნალისტების — სანდრო ეულის, ვლადიმერ უბილავას, ვანიონ დარასელის, ალექსანდრე გვინჩიძის, ელიოზ ხუციშვილის და სხვათა გმირულ საქმეებზე ამაღელვებლად მოგვითხრობენ მათივე კოლეგები და თანამებრძოლები, ცნობილი ქართველი ჟურნალისტები.

ნარკვევებში დამაჯერებლადაა გადმოცემული აგრეთვე სამამულო ომის დროს შექმნილი ქართული საბრძოლო გაზეთების თანამშრომლების, სტამბის მუშების თავდადებული ბრძოლა და შრომა. ისინი დადიოდნენ ფრონტის წინა ხაზებზე, წერდნენ ნარკვევებს, ლექსებს, წერილებს და, რომ იტყვიან, ცხელ გულზე, მეორე დღესვე აცნობდნენ გაზეთის მეშვეობით თანამემამულეებს.

## ევარისტ გალუა

გამოვიდა ლეოპოლდ ინფელდის წიგნი, რომელიც მოგვითხრობს ევარისტ გალუას საკვირველ ისტორიას. ევარისტ გალუამ ოცი წლის ასაკში შესწირა სიცოცხლე საფრანგეთის რესპუბლიკას. სიკვდილის წინა ღამეს მან დაწერა ალგებრულ განტოლებათა სამოციოდე ფურცელი, რითაც ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვის რამდენ ხანს შეუძლია იშიმშილოს

ზოგიერთი თევზი საოცრად დიდხანს ძლებს უჭმელად, — მაგალითად, კარჩხანას 298 დღე შეუძლია გაძლოს, ფარგას — 62 დღე. მაგრამ რეკორდი, უეჭველად, გველთევზას ეკუთვნის, რომელსაც შეუძლია 481 დღე იშიმშილოს.

### აფრიკის ნაწყვეტი

არაბეთი—აფრიკის ნაწილია, რომელიც დაახლოებით მილიონი წლის წინ გამოეყო კონტინენტს და 200 კილომეტრით გადაადგილდა ჩრდილო-აღმოსავლეთით. გაჩენილი ნაპრალი მეწამული ზღვის წყალმა ამოავსო. მეწამული ზღვის გაფართოებისა და აფრიკისაგან არაბეთის განცალკევების პროცესი კვლავ გრძელდება. მილიონი წლის შემდეგ არაბეთსა და აფრიკას შორის უზარმაზარი ოკეანური უბე იქნება.

### შავი ფერი—სახიფათო ფერია

დანიელმა სპეციალისტებმა შეისწავლეს ევროპაში მომხდარი საავტომობილო ავარიების სტატისტიკური მონაცემები. აღმოჩნდა, რომ შემთხვევების 61 პროცენტი შავი ფერის ავტომანქანების მიზეზითაა გამოწვეული; ღია ფერის მანქანებზე მხოლოდ 6 პროცენტი მოდის. ცდებით დადგინდა, რომ შავი ფერი თვალს ატყუებს: შავი ფერის საგანი იმაზე უფრო შორსა გვგონია, ვიდრე სინამდვილეშია.

### შუა საუკუნეების დროის რეცეპტები

ცნობილია, რომ ზოგიერთმა ანტიბიოტიკმა ამჟამად უკვე დაკარგა თავისი სამკურნალო თვისებები. მრავალი სახის მიკრობი და ვირუსი ისე შეეგუენ ახალ წამლებს, რომ სრულებით არ „ეშინიათ“ მათი.

კარგა ხანია, ამ გარემოებით დაინტერესდნენ ავსტრიელი მეცნიერები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა შუა საუკუნეების დროის რამდენიმე რეცეპტის კვლავ გამოყენება. მაგალითად, ძველ დროში ვერცხლს წარმატებით იყენებდნენ ჭრილობების მოსაშუშებლად. და აი, ახლაც აღმოჩნდა, რომ ვერცხლი საკმაოდ მოქმედი წამალია.

ვერცხლის მიკროსკოპული ნაწილაკების შემცველი განსაკუთრებული პასტა ღია ჭრილობის დროს ჰკლავს ყველა სახის მიკრობებს, რომლებიც არ ეპუებიან ანტიბიოტიკებს.

### თევზი და ზღვის ავადმყოფობა?!

წარმოიდგინეთ, თურმე თევზებსაც კი ემართებათ ზღვის ავადმყოფობა! ეს პირველად აღმოაჩინეს ფრანგმა ოკეანოგრაფებმა. ამ ცოტა ხნის წინ მათ, გემით ძვირფასი ტროპიკული თევზები მოჰყავდათ საფრანგეთისაკენ. უეცრად ზღვაზე გრიგალი ამოვარდა. თევზები ცუდად გახდნენ და ზოგიერთი მათგანი კიდეც დაიღუპა.



გალუას ხანმოკლე სიცოცხლე აღსავსე იყო გმირობით, ტანჯვითა და გაცრუებული იმედებით. მისი, თითქმის თავხედური თვითდაჯერება საკუთარ მათემატიკურ ნიჭში, გახდა, მიზეზი იმისა, რომ მასწავლებლები სდევნიდნენ, ხოლო მეცნიერები არად აგდებდნენ.

როცა გალუა გარდაიცვალა, იგი ცნობილი იყო მხოლოდ როგორც მგზნებარე რესპუბლიკელი, უკვდავებას კი იმით მიაღწია, რაც სიკვდილის წინ ცამეტ საათში დაწერა.

წიგნი მკითხველთა ფართო წრეებისათვის არის გათვალისწინებული.

### შენი უფროსი მეგობარი

მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე მასწავლებელს უხეშად შეეპასუხა, დაარღვია დისციპლინა. შესვენების დროს ამხანაგებმა გაკიცხეს, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა მათ საყვედურს. დამცველიც აღმოუჩნდა, თანაკლასელი, რომელიც ამტკიცებდა: მოვალენი არა ვართ პატივი ვცეთ, დავემორჩილოთ უფროსებსო.

განა სამშობლოს სიყვარული, ამხანაგობა-მეგობრობა, მშობლების სიყვარული მოგონილი გრძნობაა? სწორედ ამიტომ, თანაკლასელებმა გადაწყვიტეს შთაენერგათ იმ მოსწავლისათვის, რომ ეს გრძნობები ვინმეს მოგონილი კი არაა, არამედ ნამდვილი ადამიანური თვისებაა. რა გზას დადგომოდნენ? სიტყვას საქმე ამჯობინეს და ლიტერატორებს მიმართეს... ასე შეიქმნა ეს წიგნი, რომელსაც ჩვენმა გამომცემლობამ ქართული მასალებიც დაუმატა.

გირჩევთ ძალზე ყურადღებით წაიკითხოთ ეს წიგნი, დააკვირდეთ მოქმედ პირთა ხასიათებს და მოქმედებებს.





წყლის, რძის, ნავთის, საერთოდ, ყოველგვარი სითხის გადატანა თავმოხდილი ვედროთი ძნელია, ვედრო ქანაობს და სითხე იღვრება. ქსოვილის პატარა ნაჭერი სავსებით გიხსნის ამ უსიამოვნებისაგან. აიღე რეზინის შლანგი, გამოჭერი ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები, მერე ვედროს თავზე ქსოვილი გადააფარე და, რამდენიც გნებავს, იარე, ვედროდან წვეთი არ გადმოიღვრება.

თუ გინდა ქილაში რაიმე სითხე ჩაწურო, ქილას თავზე დოლბანდი უნდა გადააკრა... იმან არ შეგაშინოს, რომ ქილის თავზე დოლბანდი, ცოტა არ იყოს, ძნელი დასამაგრებელია. პოლიეთილენის სახურავში მოზრდილი ნახვრეტი ამოჭერი და დოლბანდგადაფარებულ ქილას თავი ისე დაახურე.

როცა ამ სურათს დახედავ, მიხვდები: შენს სამზარეულოში რომ ჭურჭლის შესანახი მაგიდა დგას, თურმე გაუმჯობესებას საჭიროებს. ეს არაა ძნელი საქმე. სადურგლო მოწყობილობა ხომ ხელთა გაქვს? ახლა საჭიროა რამდენიმე ფიცარი, ცოტა მონდომება და... დიასახლისს კარგ საჩუქარს მიართმევ!

ჩვეულებრივი ოთხფეხა მაგიდისათვის განჯინების გაკეთებას რომ მოინდომებენ, იხლაფორთებენ, იხლაფორთებენ და შრომა ხშირად ამაოდ ჩაუვლით ხოლმე. არადა, იცით, ეს რა იოლი ამბავია? აი, დახედე ამ სურათს, არც ფიცრებია საჭირო და არც იმდენი შრომა. ამისათვის საკმარისია ანჯამის ცალი ფრთა განჯინის წიბოს მიაჭედო, მეორე კი — მაგიდის ფეხს.

გაბზარული კვერცხი ხარშვის დროს არ ჩაიმთქლევა, წყალში ნახევარ ჩაის კოვზ მარილს თუ ჩაყრი.

ვედროდან რეზინის მილით სითხის გადმოსხმისას მილი რომ არ მოიკეცოს, ისე გადადევი ვედროს სახელურზე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები.

ფოტოსურათების გასაშრობად შესანიშნავი საშუალებაა მოზრდილი ბოთლები და მინის ქილები. გაშრობა რომ დააჩქარო, ჭურჭელში ცხელი წყალი ჩაასხი და სურათები მერე შემოაწებე.











## უჩვეული თანაშემწეები

### მტრედი — კონტროლიორი

მტრედი—კონტროლიორი?! დიახ, ნუ გაიკვირვებთ. მას შემდეგ, რაც ფრინველმა გაიარა სწავლების სპეციალური კურსი, — კონვეიერზე აღმოჩენილი ყოველი წუნდებული დეტალისათვის მტრედი ღებულობდა სასუსნავს. იგი შესანიშნავი კონტროლიორი გახდა. აი, გამოჩნდა წუნი,—მტრედმა ნისკარტით კაკუნი ატეხა; ისევ წუნი, — ისევ კაკუნი...

### მაიმუნი — ტრაქტორისტი

„ტრაქტორისტი ჯონი“ — ასე უწოდებენ ავსტრალიურ მაიმუნს, რომელიც გაწვრთნა ფერმერმა, — ასწავლა მას ტრაქტორის მართვა და ცხვრის მწყემსვა. გაზეთები იტყობინებიან, რომ ჯონი ფრთხილი ტრაქტორისტია, იგი არავითარ შემთხვევაში არ დააჭერს თითს სტარტერის ღილაკს, თუ ტრაქტორს ჩართული აქვს სიჩქარე; მაიმუნი ამ დროს მოთმინებით ელოდება პატრონს.

### ბულდოგი — პონის მეგზური

ინგლისური ჯიშის ბულდოგმა, სახელად ჯეინმა, თვითონ იკისრა ბრმა პონის გამცილებლად ყოფნა. ბულდოგს ყოველ დილით საძოვარზე მიჰყავს პონი, მთელ დღეს დარაჯობს და საღამოობით, როცა მზე ჩავა, ერთგული ძაღლი კბილს ჩაავლებს ხოლმე პონის ყელზე გამობმულ თოკს და შინისაკენ მიჰყავს მეგობარი.

### ბატი სარეველებს ებრძვის

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში, ბამბის პლანტაციებში, მილიონამდე ბატი ბალახობს. ისინი შესანიშნავად ასრულებენ დავალებას, — ანადგურებენ მხოლოდ სარეველა ბალახებს.

### ღორი ეძებს სოკოს

გაწვრთნილი შინაური ღორები შესანიშნავი მაძებრები გამოდგნენ. ისინი გულმოდგინედ ეძებენ განსაკუთრებულ სოკოებს, რომლებიც „შავი ტრუფელების“ სახელით არიან ცნობილნი. ამ ჯიშის სოკო საუკეთესო საჭმელად ითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „მი-4"—ვერტმფრენის კონტურული მოდელი

ვერტმფრენის კონტურული მოდელის გაკეთება ყველა ბავშვს შეუძლია. ეს მოდელი იმითაა საინტერესო, რომ მისი მზიდავი პროპელერი ბრუნავს, მიუხედავად იმისა, რომ მოდელს არ გააჩნია ძრავა.

მოდელის გასაკეთებლად, გადასაღები ქაღალდით მუყაოზე გადაიტანე ვერტმფრენის კონტური (ხედი) შასის გარეშე, ქვესადგარი „ე" და ცალკე შასები „გ" და „დ", ამასთან უკანა შასი „დ" გადაიტანე ორჯერ (ორია საჭირო და იმიტომ). მზიდავი პროპელერი „ბ" გადახაზე ჩვეულებრივ საწერ ქაღალდზე.




ჯერ გამოჭერი მოდელის კონტური და კაბინა, შემდეგ — დანარჩენი ნაწილები.

პროპელერი ცენტრში გაჩხვლიტე ნემსით ან ქინძისთავით. მოპირდაპირე ლაპოტები (ფრთები) გადახარე ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს პროპელერისებურად.

მოდელის ზედა ნაწილი ოდნავ გადაღუნე და კაბინიდან ვერტიკალურად გაუყარე ქინძისთავი ისე, რომ წვერი გავიდეს მოდელის გარეთ.

წინა შასი ოდნავ გახლიჩე (ის ხომ მუყაოსია), შიგნიდან წაუსვი საკანცელარიო წებო, ჩასვი ფუზელაჟი და მიაწებე. უკანა შასები ორივე მხარეს უნდა მიეწებოს და წებოს გაშრობის შემდეგ ოდნავ გაიშალოს (ორკაპი ჯოხის მსგავსად). ბორბლების ქვედა ნაწილს წაუსვი წებო და დადგი „ე" ქვესადგარზე, —მოდელი ბორბლებით მიეწებება ქვესადგარს. აცალე წებოს გაშრობა. ქინძისთავის წვერზე ჩამოაცვი პროპელერი და მოდელიც მზად იქნება. იმისათვის, რომ პროპელერმა იბრუნოს, — დაამზადე წაკვეთილი კონუსი. კონუსის განაფენის აგების ხერხი ნახაზზეა ნაჩვენები.










განაფენის აგების შემდეგ, გამოჭერი მთლიანი ხაზებით მიღებული ნაკვეთი, მოამრგვალე და ნაპირი დააწებე. წაკვეთილი კონუსი მზადაა. შემდეგ ეს კონუსი ჩამოაცვი მაგიდის ელექტრონათურას ისე, რომ ნათურა შედიოდეს წაკვეთილ კონუსში, მაგრამ არ ეხებოდეს მას (დახედე ნახატს). ამის შემდეგ ჩართე ნათურა და კონუსს ზემოდან დაადგი მოდელი, — ხრახნი დაიწყებს ბრუნვას.




თუ გაგიძნელდა კონუსის განაფენის აგება, მისი დამზადება შეიძლება უფრო მარტივი ხერხითაც: მოხარე ქაღალდი კონუსისებურად, ნაპირზე (წიბოზე) წაუსვი წებო, დააწებე და წებოს გაშრობის შემდეგ წააჭერი წვერი (10 სანტიმეტრი სიმაღლის), ქვედა ბოლო კი რკალისებურად შემოაჭერი. მართალია, ასე გაკეთებული კონუსი არ იქნება ზუსტი, მაგრამ ხრახნის ასამოძრავებლად ასეთიც საკმარისია.

გ. პიპნაძე,
ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი.

# ? თავსატეხები



## ორი გემი

თქვენ ხედავთ ორ გემს. ერთი მათგანი ზღვაზე მიცურავს, მეორე— მდინარეზე. ორივე გემი ერთი და იგივე ტიპისაა, ერთი და იგივე წონა, ზომა და ფორმა აქვთ.

დაფიქრდით და გამოიცანით: რომელი გემი მიცურავს მდინარეზე, რომელი—ზღვაზე.

## ლაბირინთი

ამ ნახატზე გამოსახული ბაღი ბილიკებითაა დაყოფილი. სცადეთ ისე გაიაროთ ბილიკების ლაბირინთი, რომ ერთსა და იმავე ადგილზე ორჯერ არ მოგიხდეთ გავლა.



## საოცარი კვადრატი

ქაღალდზე გადახაზეთ აქ გამოხატული კვადრატი და შემდეგ სწორ ნაწილებად დაჭერით.

დაჭრილი ნაწილები ერთმანეთში აურიეთ. სცადეთ დიდი კვადრატის შვიდი ნაწილისაგან, რიგრიგობით, გააკეთოთ ქვემოთ გამოხატული ფიგურები. (ეს ფიგურები შემცირებულია და ამან არ დაგაბნიოთ).





# სარჩევი


**გ. სანადირაძე** — ცისფერი ყურე (მოთხრობა) . . . . 1
**დ. გოზალიშვილი** — ლაშქრობა ძამას, გუჯარეთისა და ბორჯომის ხეობებში. (ნარკვევი) . . . . . . . 6
**ბ. წიკლაური** — თბილისის კართან (ლექსი) . . . . . 9
ოქროს საწმისი . . . 9
ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე . 10
**ე. მაჭავარიანი** — როგორ ისწავლეს მუსიკალური ბგერების ჩაწერა. (წერილი) . 13
**ს. შამფრიანი** — ახალი ლექსები . . . . . . . . 15
**ა. ალექსინი** — „შუქ" (მოთხრობა, თარგმნა ჯ. ნინუამ) . 16
კითხვა-პასუხი . . . . 22
**ა. ჩხარტიშვილი** — სერგო ქობულაძე (წერილი) . . . . 23
ბუნების კარი . . . . 25
იუმორი . . . . . . . 26
**ხ. სტოიანოვი** — დობილები (მოთხრობა, თარგმნა ნ. ფურცელაძემ). . . . . . 27
ჯადოსნური სარკე . . 28
ახალი წიგნები . . . 28
გამოგადგები . . . . 30
შენი სახელოსნო. . . 31
თავშესაქცევი . . . 32



გარეკანის პირველ გვერდის მხატვრობა ეკუთვნის **ზურაბ მეძმარიაშვილს.**



**მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.**

**სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).**



ჩვენი მისამართი:
თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები:
რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნის —5-07-43
განყოფილებების 5-07-43



„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 03239 ტირ. 41.200. ბარ. ფორ. რაოდ. $4^{1}/_{2}$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 20/IX-66 წ. სტამბის შეკვ. 3050. გამომც. შეკვ. 811. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

**თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იჩქარეთ!

## დროზე

გამოიწერეთ

## 1967 წლისათვის

## ჟურნალი

# პიონერი

გამოიწერეთ

სასურველია ჟურნალი გამოიწეროთ მთელი წლით

გამოვა 12 ნომერი

თორმეტი ნომრის ღირებულება 2 მანეთი და 40 კაპიკი